სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

კვარტალური ანგარიში

II კვარტალი

თბილისი

2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

- საზოგადოებრივი რადიო---------- 1
- საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი---------- 12
- ტექნიკური დეპარტამენტი---------- 13
- პროდიუსინგი (გადაცემები)---------- 14
- „ჩვენი დილა“ ---------- 24
- „დღეს“---------- 28
- „ეტალონი“---------- 32
- “ჩვენი ეზო“---------- 34
- „უცნობი მუსიკა“---------- 38
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური PR ---------- 40
- იურიდიული სამსახური---------- 45
- მარკეტინგის სამსახური---------- 49
- სარეკლამო სამსახური---------- 50
- არქივი---------- 55
- კანცელარია---------- 57
- ადამიანური რესურსების სამსახური---------- 59
- ფინანსური სამსახური---------- 61

საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში „საზოგადოებრივი რადიო 1“-მა გააგრძელა პროგრამული პრიორიტეტების შესრულება, მოიზიდა ახალი დაფინანსების წყაროები და გააფართოვა მულტიმედიური პროექტი.

1. <u>საიუბილეო ღონისძიებები</u>

23 მაისს საზოგადოებრივ რადიოს 89 წელი შუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით რადიომაუწებლობის სამსახურის ინიციატივით საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სამსახურმა გადაიღო ფილმი საზოგადოებრივი რადიოს შესახებ, რომელიც 1-ლი სატელევიზიო არხის ეთერით გავიდა.

თავად საზოგადოებრივმა რადიომ 23 მაისის პროგრამების უმრავლესობა რადიოს იუბილეს მიუძღვნა.

2. <u>ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების გაშუქება</u>

არჩევნების გაშუქება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს წარმოადგენს. საინფორმაციო გამოშვებები აშუქებდნენ ყველა საარჩევნო სუბიექტის ღონისძიებებს და განცხადებებს, ცესკო-ს, პარლამენტის და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ადგილობივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს.

უკვე ტრადიციად დამკვიდრებული სქემის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტებს შორის ბალანსი დაცულია. არჩევნების დღეებში საინფორმაციო სამსახური საგანგებო რეჟიმში მუშაობდა.

„ღია სტუდიის“ და „საღამოს პიკის საათის“ არაერთი გადაცემა მიეძღვნა არჩევნების თემას. „საღამოს პიკის საათის“ რამდენიმე გადაცემა დაეთმო თბილისის მერობის კანდიდატებს.

3. <u>ერთობლივი პროექტი „აირჩიე ქალაქის მერი“</u>

საზოგადოებრივმა რადიომ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ საერთაშორისო ორგანიზაციების USAID-ისა და IFES-ის მხარდაჭერით განაახორციელა პროექტი „აირჩიე ქალაქის მერი“.

პროექტის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციამ მოამზადა 8 რადიოგადაცემა. პირდაპირი ეთერი მიეძღვნა 12 თვითმართველი ქალაქის მერობის კანდიდატთა დებატებს.

4. <u>მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაცია</u>

საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხი ახორციელებდა ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციას. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა საღამოს საეთერო ბადეში. შეიცვალა „ამერიკის ხმის“ ტრანსლაციის გრაფიკიც.

5. <u>ახალი ერთობლივი პროექტები და დაფინანსების წყაროები</u>

საზოგადოებრივი რადიო პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, კვლავ განაგრძობს დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებას და ახალი პროექტების განხორციელაბას.

ყოველთვიური გადაცემა ენერგოეფექტურობაზე - საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ გააფორმა კონტრაქტი, რომელიც 1 მაისიდან ამოქმედდა. პროექტის ფარგლებში გადაცემა „შაბათ-კვირა რადიო ერთზე“ თვეში ერთხელ აშუქებს ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის საკითხებს. წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ მომსახურების ყოველთვიური ანაზღაურება 245 დოლარამდე გაზარდა.

„ეკომეტრის“ დაფინანსება - „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ საზოგადოებრივმა მაუწყებელთან გააფორმა კიდევ ერთი კონტრაქტი, რომელიც არსებული გადაცემის „ეკომეტრის“ ფარგლებში ენერგოეფექტურობის და მდგრადი ენერგეტიკის სასკითხების ყოველთვიურ გაშუქებას გულისხმობს. მომსახურების ყოველთვიური ანაზღაურება 120 დოლარს შეადგენს.

პროექტი „აირჩიე ქალაქის მერი“ - საზოგადოებრივმა რადიომ და არასამათავრობო ორგანიზაციამ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ საერთაშორისო ორგანიზაციების USAID-ისა და IFES-ის მხარდაჭერით განაახორციელა პროექტი „აირჩიე ქალაქის მერი“. პროექტის ფარგლებში გაიმართა 8 რადიო დებატები 12 თვითმართველი ქალაქის მერობის კანდიდატებს შორის. პროექტი სრულად შეესაბამება მაუწყებლის პრიორიტეტებს. მომსახურების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს 1000 ლარს.

Giz-ის პროექტის მხარდაჭერა - 2014 წლის აპრილში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან Giz-სთან გაფორმდა კონტრაქტი, რომელიც 2014 წლის თებერვლის ჩათვლით პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერას გულისმხობს. კონტრაქტის მიხედვით ყოველკვირეული ეკოლოგიური გადაცემა „ეკომეტრი“ თვეში ერთხელ ამ პროექტს მიეძღვნება. პროექტის ფარგლებში Giz მაუწყებელს ყოველთვიურად 937 ლარს უხდის.

6. <u>მულტიმედიური მაუწყებლობა და ტექნიკური გადაიარაღება</u>

საზოგადოებრივი რადიოსთვის პრიორიტეტულ პროექტს წარმოადგენს მულტიმედიური მაუწყებლობის პროექტი, რომელიც რადიოს ვიზუალიზაციას გულისმხობს. IREX-ის მხარდაჭერით რადიო 1-ის პირდაპირი ეთერის სტუდია აღიჭურვა აპარატურით და დაიწერა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა. საზოგადოებრივი რადიო 1-ის ვიდეოსიგნალი ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი გახდა 15 სექტემბერს. რადიო ეთერის ყურება მომხმარებელს შეუძლია საზოგადოებრივი რადიოს საიტზე http://radio1.ge/.

მულტიმედიური მაუწყებლობის პროექტის მხარდასაჭერად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მაუწყებელმა შეიძენა რადიოპროგრამების აუდიოვიზუალური არქივირებისათვის აუცილებელი ჩამწერი-გამშვები მოწყობილობები Markus-Pro. მიმდინარეობს მისი ტესტირება;
- აუდიო-ვიდეო ნაკადის შიდა სერვირების მიზნით შეძენილია მედია სთრიმინგ სერვერი DataVideo-NVS 20. მოწყობილობა საშუალებას იძლევა ლოკალურ ქსელში განთავსდეს MPEG-4 ფორმატის მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო ნაკადი, ასევე შესაძლებელია მისი ჩაწერა შემდგომ ვებგვერდზე და ბადეში განთავსების მიზნით;
- სამუშაო ფაზაშია რადიოპროგრამების აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების ვებ სერვისებზე ატვირთვის და სხვადასხვა პორტალებზე განთავსების პროექტი;

- მიმდინარეობს მაუწყებლის ხელთ არსებული GPS Master Clock-ის ზუსტი დროის გენერატორის ქსელური გამართვის სამუშაოები, რაც საშუალებას მოგვცემს სრული სინქრონიზაცია მივიღოთ ტელე და რადიო სტუდიების ავტომატიზაციის სისტემებში.

მაუწყებლის ტექნიკურმა სამსახურმა ასევე განხორციელა შემდეგი სამუშოები:

- რადიო 2-ის და რადიოს ცენტრალური სააპარატოს მკვებავ ქსელში დამონტაჟდა ერთიანი უწყვეტი კვების სისტემა;
- რადიოს აუდიო სამონტაჟოებში მოხდა კვების უწყვეტი სისტემების განახლება და ოპტიმიზაცია დამატებითი ხარჯების გარეშე;
- მთაწმინდის ანძაზე განთავსებული „რადიო 1“-ის სარეზერვო გადამცემისათვის მოხდა დაბალსიხშირული აუდიოკაბელით საიმედო დუბლირების გეგმარება. აქვე საჭიროა განთავსდეს დამატებითი სატელიტური მიმღები.

7. <u>პროგრამული ბადე</u>

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოირჩევა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბადე ყალიბდება ყველა იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომლებიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული.

7.1 <u>ინფორმაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება</u>

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013-2014 წლის პროგრამული პრიორიტეტებში გათვალისწინებულია რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. ყველა ეს რეკომენდაცია რადიოს ფორმატის გათვალისწინებით შესრულებულია.

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემებს უკავია 14:00 - 21:00 საეთერო ზოლი. ამ ზოლში რადიო 1-ის ყველა გადაცემა ინტერაქტიულია. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების ენებზე 25 წუთიანი მაუწყებლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვა ნაწილობრივ აქვს დილის გადაცემას „პიკის საათი“.

საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

საინფორმაციო გამოშვება - პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5 წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია ვრცელი გამოშვება. საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციით;

ღია სტუდია – ყოველ სამუშაო დღეს 14.10-15.00 სთ. სოციალური საკითხები, ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა ყველაფერი ის, რაც საზოგადოებას აინტერესებს, „ღია სტუდიის“ მსჯელობის საგანია;

საღამოს პიკის საათი - – ყოველ სამუშაო დღეს 17.10-18.00 სთ. შემაჯამებელი პოლიტიკური თოქშოუ - აქტუალური თემების დეტალური ანალიზი, დღის მთავარი თემების განხილვა კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელთან ერთად;

ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

ერთად ევროპისკენ – ორშაბათს, 16:10–ზე, ევროანტლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ძალისხმევა და მიმდინარე პროცესები: უსაფრთხოება, თავდაცვა, ევროკავშირი და ნატო, დემოკრატიული რეფორმები, ვალდებულებები და სტანდარტები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს;

უფლება და თავისუფლება – ხუთშაბათს 16:10სთ-ზე, გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებს. საკითხები მრავალფეროვანია სახელმწიფოს სტატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემა მზადდება საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით;

ეკომეტრი - ოთხშაბათს 16.10-17.00 საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე;

მიგრაციის მარშრუტები - სამშაბათს და ხუთშაბათს, 18.10-19.00. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა უფლებები, ცხოვრების, სწავლის და მუშაობის პირობები, დაბრუნების პერსპექტივა, ტრეფიკინგის პობლემები;

განსხვავებული აზრი-სტუმარი სტუმართან – სამშაბათს 16.10-17.00. გადაცემას აქვს განსხვავებული ფორმატი - წამყვანები მოწვეული სტუმრები რაც საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე განსხვავებული კუთხით საუბრის საშუალებას იძლევა;

რეგიონის დროით – საქართველოს რეგიონების დღევანდელობა, პრობლემები და მათი მოგვარების გზები (სიდას და იუესეიდის დაფინანსებით);

თქვენი უფლებები (იურიდიული კონსულტაცია) - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს;

შტრიხ-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., გადაცემა ეძღვნება მომხარებელთა უფლებებს. ექსპერტები, ხელისუფლების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე

ფერმერის საათი - კვირას 15.10-16.00, პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს.

ისევ განათლების საკითხებზე - შაბათს 15.10-16.00 სთ, თოქშოუ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებზე, სამეცნიერო გრანტებზე, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციოგამოცდებზე, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებზე, საერთაშორისო გაცვლოთ პროგრამებსა და სტიპენდიებზე. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს;

აკადემიური სივრცე – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

ამერიკის ხმა – ყოველდღიური ტრანსლაცია ვაშინგტონიდან – მსოფლიო ამბები, სიუჟეტები საინტერესო თემებზე. ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15 წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე.

7.2 <u>საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულება</u>

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს ტრადიციულად წარმოადგენს. რადიო 1 -ს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს“, რაც ჩვენ პროდუქციას ასევე გამოარჩევს მედიაბაზარზე. პროგრამებზე მუშაობენ პროფესიონალები, რომლებიც მაუწყებლის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიო თეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელსაც აქვს მუდმივი გადაცემები სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ თეატრალური და მუსიკალური მიმოხილვა და კრიტიკა.

რადიო 1 გამოირჩევა მუსიკალური გადაცემების მრავალფეროვნებით და ხარისხით. მუსიკალური პროგრამები მოიცავს პრაქტიკულად მთელ სპექტრს - კლასიკას, ფოლკლორს, ძველ და თანამედროვე ქართულ ესტრადას, თანამედროვე და შედარებით უცნობ მუსიკას.

საზოგადოებრივი რადიო ასევე გამოირჩევა ლიტერატურული და საბავშვო პროგრამებით.

საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულების გადაცემების ჩამონათვალი ასეთია:

რადიოთეატრი – საზოგადოებრივი რადიოს რადიოთეატრი წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში დღესაც იწერება რადიოდადგმები. რადიოს ეთერში ისმის როგორც ძველი ასევე ახალი რადიოსპექტაკლები. საზოგადოებრივი რადიოს ახალი დადგმები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში, იღებენ აღიარებას და პრიზებს;

გულიკო კაკაბაძის თეატრალური შეხვედრები – ორშაბათს 18.10-19.00, ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან

კოლექცია – შეხვედრები საინტერესო მოღვაწეებთან, ვინც გატაცებული არიან ხელოვნების ნიმუშებისა და იშვიათი ნივთების შეგროვებით;

თეატრალური ნოსტალგია სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს ოქროს ფონდიდან);

თეატრალური ანტრაქტი – სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით;

რაც მეხსიერებას შემორჩა – რადიოს ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების მომზადების ისტორიები და თავად ჩანაწერები;

კინოფილმი უეკრანოდ – გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერების თანხლებით;

ხაზის რადიო – ყოველ სამუშაო დღეს 10.10-11.00, ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა საერთო-ეროვნულ ღირებულებებისა, შეხვედრები ადამიანებთან, ვინც ღირებულებების შექმნაზე ზრუნავდნენ და ზრუნავენ. ექსკლუზიური ჩანაწერები რადიოს ოქროს ფონდიდან.

ორშაბათი – **ცხოვრება კადრს მიღმა** - თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება

სამშაბათი – **ქართული ეთნო** - ტრადიციები, ტრადიციებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე მოამაგე ადამიანები

ოთხშაბათი – საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საინტერესო ისტორიები და კოლორიტები

ხუთშაბათი – ქართული მუსიკის მოამაგენი, უცნობი დეტალები ცნობილი მუსიკოსების ცხოვრებიდან და მათი შემოქმედების უნიკალური ნიმუშები

პარასკევი – ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ადამიანები, ვინც ეპოქალურ ღირებულებებს ქმნიან

მუსიკის საათი ყოველდღე 13.10-14.00

ორშაბათი - **ნია ბახტაძის მუსიკალური შეხვედრები** ცნობილ შემსრულებლებთან, ცოცხალი შესრულება, ახალი ჩანაწერებისა და ალბომების პრეზენტაციები პირდაპირ ეთერში;

სამშაბათი – **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

ოთხშაბათი – **ჩაკრულო** – ქართული და უცხოური ფოლკლორი, ხალხური სიმღერის შექმნის ისტორიები, მომღერალთა პორტრეტები, ქორეოგრაფიის ისტორია, ხალხური პოეზიის, ხელსაქმისა და ტრადიციების ამსახველი მასალები;

ხუთშაბათი - **ვარიაციები მუსიკის თემაზე** – კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, გამორჩეული ინტერპრეტაციები, ცნობილი და ნიჭიერი ახალბედა ქართველი შემსრულებლები;

პარასკევი - **რეტრო**, 70-90 იანი წლების ქართული ესტრადა, მოგონებები და საინტერესო ისტორიები იმ პერიოდის ცნობილ შემსრულებლებზე, ქართული ესტრადის განვითარების ისტორია და რეტრო-მუსიკის საუკეთესო ჩანაწერები პირდაპირ ეთერში;

შაბათი - **რადიოანშლაგი**, მუსიკალური ცხოვრების სიახლენი, საკონცერტო დარბაზებში გამართული საღამოების ჩანაწერები;

კვირა - **მხოლოდ ოპერა** – საოპერო მუსიკის სიახლენი, ქართველ შემსრულებელთა, კომპოზიტორთა და ახალბედა ნიჭიერ მუსიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტები, ექსკლუზიური მუსიკალური ნომრები;

პიკის საათი - დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

ცხოვრება ხელოვნებაში - ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი გზა და ცხოვრებისეული ისტორიები სამშაბათს, 23.10-00.00;

თავისუფალი ლიტერატურა – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ყველა სიახლე - პარასკევს 18.10-19.00;

ლია ძიძიგურის გალერეა - შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები;

უცნობი მუსიკა – კახა თოლორდავას ექსკლუზივი შაბათს 23.30-01.00, მსმენელთათვის ნაკლებად ცნობილი მუსიკოსები, მსოფლიო მუსიკის იშვიათი ნიმუშები;

მელომანის ჩანაწერები **-** ეს პროგრამა „რადიო 2“-ისთვის შეიქმნა, თუმცა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის „რადიო 1“-ის პროგრამულ ბადეშიც მოხვდა. მას ძირითადად შემეცნებითი ხასიათი აქვს. მისი ქრონომეტრაჟია 5-7 წუთი. საინტერესო ფაქტები მე-20 საუკუნის უდიდესი მუსიკოსების ბიოგრაფიიდან და მათი შემოქმედება - ასეთია „მელომანის ჩანაწერების“ პირველი ნაწილი. პროგრამის ძირითადი დრო ეთმობა ლეგენდარული მუსიკოსის უნიკალურ ჩანაწერს.

ჯაზ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევისის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

ჩვენი საგანძური - „ღია სტუდიის“ შაბათის გამოშვება.14.10-15.00 სთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი პროცესების ანალიზი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია;

ბახიდან ოფენბახამდე – ერთი მუსიკალური შედევრი შემეცნებითი ანოტაციის თანხლებით;

ქართული მუსიკის ასი წელი – ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა იშვიათი ჩანაწერებით;

ინტერმედია – მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების სიახლეები;

საბავშვო სტუდია 21.10-22.00:

სამშაბათი – **ფესვები** – სახალისო ისტორიები ქართული ხალხური სიმღერების წარმოშობისა და შემსრულებლების შესახებ, ტექსტების განმარტებები, ფოლკლორი მემკვიდრეობა ბავშვების მონაწილეობით;

ხუთშაბათი – **მოდი, ვილაპარაკოთ** – გადაცემის წამყვანი ბავშვები ესაუბრებიან უფროსებს ყველა იმ თემაზე, რაც მათ თანატოლებს აინტერესებთ;

შაბათი - **დო რე მი** - შეხვედრები მუსიკოს ბავშვებთან და საბავშვო მუსიკის ავტორებთან;

იყო და არა იყო რა - ყოველ საღამოს საქართველოს რადიოს სტუდიაში ჩაწერილი და გაფორმებული ზღაპარი;

მოუსმინე ისტორიას რადიო1-ზე - მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. ავტორი ლილი ჭანიშვილი. გადაიცემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე;

აქცენტები ისტორიაში – უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები საქართველოს ისტორიიდან;

ისტორია ექსპონატებში – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია;

ხელნაწერი – საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ-მხატვრული ღირებულებები;

ფერთამეტყველება – ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სიწმინდეების ისტორია;

ვეფხისტყაოსნის ეპოქა – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ორშაბათს და ოთხშაბათს დილისა და საღამოს ეთერში

ეპიზოდები – უცნობი მასალა არქივებიდან. ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირადი მიმოწერა, ნაკლებადცნობილი ფრაგმენტები ძველი დროის შემოქმედთა ცხოვრებიდან.

სიტყვა ქართული – ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა;

აკადემიური სივრცე – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

საუკუნის ხმები – უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად;

ინგლისურის გაკვეთილი – ბრიტანეთის საბჭოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გაკვეთილები ლექსიკისა და სასაუბრო ჩვევის გასაუმჯობესებლად;

თქვენი უფლებები - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. პროგრამა მიზნად ისახავს აუდიტორიის სამოქალაქო და იურიდიული განათლების ხელშეწყობას;

შტრიხ-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., ექსპერტები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე;

ისევ განათლების საკითხებზე -კონსულტაცია განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე, ეროვნული გამოცდების ახალ წესებზე, რჩევები აბიტურიენტთათვის – შაბათობით 15.10-16.00 სთ

ფერმერის საათი - კვირას, 15.10-16.00; რჩევები სოფლის მეურნეობის თემაზე, ტრადიციული ქართული ჯიშებისაა და ახალი კულტურების მოვლა. პროგრამა ფერმერს და გლეხს აძლევს პრაქტიკულ და მეცნიერულ ცოდნას, შუქდება სიახლეები ჯიშების, მოვლის ტექნოლოგიების, შენახვისა და მარკეტინგის სფეროში;

ოჯახის ექიმი– ორშაბათს და პარასკევს 15.10-16.00 სთ-მდე, სამედიციო გადაცემა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრები წესის პოპულარიზაციას და ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდას. გადაცემას ასევე აქვს საკონსუტლაციო ფუნქციაც;

მშობელთა სკოლა – პედიატრისა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა რჩევები ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე, პირდაპირ ეთერშია ოთხშაბათს 15.10-16.00 (“ჰუმანას” დაფინანსებით);

მედიატორი – გადაცემა მშობლებისა და პედაგოგებისთვის. საუბარი ბავშვთან ურთიერთობის პრობლემებზე, ფსიქოლოგთა რჩევები რთულ მოზარდთა ქცევისა და ხასიათის უკეთ გაგებისათვის;

ეკომეტრი - გადაცემის მიზანია საზოგადოების ეკოლოგიური განათლების გაზრდა. საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე, ოთხშაბათს 16.10-17.00 (სპონსორთა მხარდაჭერით);

შაბათ-კვირა 102.4-ზე – შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა;

7.3 <u>გართობისა და სპორტის მიმართულება</u>

ყველა გასართობ პროგრამას აქვა საგანამანთლებლო და საინფორმაციო მიზნები. რადიო 1-ის ეთერში ყვოელდღიურად გადის სპორტული თოქშოუ. რაც შეეხება სპორტულ ტრანსლაციებს გადაიცემა მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ძირითადად ფეხბურთში, რაგბსა და კალათბურთში საქართველოს ნაკრებების გადამწყვეტი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მატჩები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის ბრაზილიის მსოლფიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია, რომელიც საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხით ხორციელდებოდა. ტრანლსაციები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. სპორტული ტრანსლაციები მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ღამით გადაიცემა კლასიკური მუსიკა.

საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს როგორც ქართული ასევე უცხოური მუსიკალური და კულტურულ ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას ან აუდიჩანაწერების ეთერში გაშვებას. უცხოურ მასალებს ვიღებთ EBU-საგან, რაც დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

პიკის საათი - ეს გადაცემა პირველი ქართულ მედიასივრცეში, რომელმაც შეითავსა მუსიკალურ-გასართობი და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ფუნქციები. დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

7.4 <u>საქართველოს ენებზე მაუწყებლობა</u>

საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვაწვდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

8. <u>რადიო 1-ის საიმიჯო რგოლები</u>

საზოგადოებრივი რადიოს ანონსების ჯგუფმა განაახლა რადიო 1-ის საიმიჯო რგოლები. ასევე დამზადდა რგოლები რომლებიც საზოგადოებრივი რადიოს 89 წლისთავს მიეძღვნა

9. <u>ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა</u>

)საზოგადოებრივი რადიო № პროექტების ნაწილს ახორციელებს მოზიდული დაფინანსებითყ მათ შორისაა როგორც საგრანტო ასევე სასპონსორო დაფინანსებაყ ასევე გვაქვს რამდენიმე ხელშეკრულებაბ რომლითაც ხდება საეთერო დროის მიყიდვაყ ყველა ეს პროექტი სრულიად შეესაბამება სამეურვეო საბჭოს მიერ დასახულ პრიორიტეტებსყ

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა რამდენიმე კონტრაქტი. 2 მათგანი გაფორმდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ და ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის თემის გაშუქებას უკვე არსებულ გადაცემებში. მესამე პროექტი განხორციელდა არჩევნების პერიოდში. პროექტი „აირჩიე ქალაქის მერი“ მხარედაჭერილია საერთაშორისო ორგანიზაციების USAID-ისა და IFES-ის მიერ.

მეოთხე პროექტი ასევე გარემოსდაცვითია და ის ხორციელდება Giz-ის ფინანსური მხარდაჭერით.

საზოგადოებრივი რადიო ასევე აგრძელებს რამდენიმე ერთობლივ და სასპონსორო პროექტს, რომლებიც საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

ერთობლივი პროექტები საერთაშორისობარასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან

- გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთა ახორციელებს პროექტს **„უფლება და თავისუფლება**“. 2014 წლის პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 26,790 ლარს. პროექტი დაიწყო თებერვალში და წლის ბოლომდე გაგრძელდება;

- გრძელდება ხელშეკრულება **ამერიკის ხმა**სთანყ ყოველდღიური 15წთ-იანი 2 გომოშვება და 30წთ-იანი გადაცემაყყოველთვიური ანაზღაურება №%%დოლარიჟ

სასპონსორო პროექტები

- ,,%№ წლის იანვარში გაფორმებული ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე სამედიცინო ფირმა კამელინი **ეკომეტრის** სპონსორობისთვის იხდის ,,: %დოლარის ექვივალენტ თანხასჟ
- ყოველკვირეული პროგრამა)**მშობელთა სკოლის**(სპონსორია კომპანია)ჰუმანა(ყ გადაცემის ავტორებსა და წამყვანებს ხელფასს კომპანია უხდისჟ
- **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

II არხი

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის შემოქმედებითი კოლექტივი დამტკიცებული საეთერო ბადისათვის საჭირო გადაცემების მომზადებასა და ეთერში განთავსებას უზრუნველყოფდა.

„თავისუფალი ტრიბუნა“-ყოველდღიური ერთსაათიანი გადაცემა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით.

„არგუმენტების დრო“- საათნახევრიანი ტოქ-შოუ აქტუალურ საზოგადოებრივ პოლიტიკურ თემებზე (სამშაბათი,ხუთშაბათი,პარასკევი).

„ეპიცენტრი“-ყოველკვირეული ერთსაათიანი ანალიტიკური პროგრამა (შაბათი).

„ბრიფინგის დრო“-ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა-დღეში ოთხჯერ.

„საპარლამენტო დაიჯესტი“-საპარლამენტო სესიების მნიშვნელოვანი მომენტების ამოკრება და ეთერში განთავსება.

19 მაისიდან არხი წინასაარჩევნო რეჟიმში გადავიდა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით, არჩევნებში მონაწილე პარტიებთან დაიდო წინასაარჩევნო მემორანდუმი,რაც ითვალისწინებდა მონაწილე სუბიქტებისთვის თანაბარი დროის გამოყოფას მეორე არხის პირდაპირ ეთერში.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის პროგრამა „ეპიცენტრი“ გადიოდა კვირაში სამჯერ-საათნახევარიანი ფორმატით, ხოლო პროგრამას „თავისუფალი ტრიბუნა“ დაემატა დღეში ერთი საათი.

წინასაარჩევნო პერიოდში მეორე არხი არჩევნებში მონაწილე პარტიების ყველა აქტივობას აშუქებდა და დღეში, საშუალოდ, 30 ბრიფინგი გადიოდა.

მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ, ჩვენი ინიციატივით, შევთავაზეთ მერისა და გამგებლის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს, დებატები მეორე არხის პირდაპირ ეთერში პროგრამაში-„არგუმენტის დრო“

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო რეჟიმში, მაყურებლისათვის წინასაარჩევნო ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებისთვის, შეცვლილი, კოლაჟური ფორმატით, მაუწყებლობდა ეროვნული უმცირესობებისათვის საინფორმაციო უზრუნველყოფის ჯგუფიც.

ტექნიკური დეპარტამენტი

1.ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში განხორციელდა ძველი ტიპის სამომხმარებლო კავშირის აპარატურის დემონტაჟი

2.ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა ახალი ტიპის RIEDEL -ის ფირმის სამომხმარებლო კავშირის აპარატურა ყველა მომხმარებელთან, ჩაიდო ქსელის კაბელები 18 აბონენტთან

3.ჩაიდო ქსელის კაბელები და დამონტაჟდა ასაკრეფი პულტები სტუდიებში EVERTZ-ის ფირმის მატრიცისთვის 128X128

4.Server Room-ში დამონტაჟდა EVERTZ-ის ფირმის მატრიცა/კომუტატორი 64X64

5. Server Room-ში დამონტაჟდა კომპანია OptiCom-ის ორი „კალათა“ ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელების მიმღები და გადამცემი მოდულატორებისთვის 16X16, ფუნიკულორის პლატოზე სიგნალების მისაწოდებლად და მისაღებად

6. Server Room-ში დამონტაჟდა პარლამენტის თბილისის შენობიდან ბოჭკოვან - ოპტიკური კაბელის Patch Panel-ი 24 ფიბერზე

7.ახალ Server Room-ში დამონტაჟდა ძალოვანი კვების ფარი 12 კარადისთვის. თორმეტივე კარადამდე მიყვანილ იქნა და დამონტაჟდა ძალოვანი კვების კაბელები

8.თორმეტივე კარადაში დამონტაჟდა განათების სპეციალური მოწყობილობა მომსახურე პერსონალისთვის აპარატურის ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით

9. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოდან Server Room-ამდე ჩაიდო და დამონტაჟდა 16 ფიბერიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი

10. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა სატელიტური ენკოდერის ელექტრონული ავარიული გადამრთველი I არხის სიგნალის მისაწოდებლად კომპანია Black See Sat-ის გადამცემებზე.

11. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში სარეჟისორო ვიდეო და აუდიო პულტების მუშაობის საიმედობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ახალი სქემა და დამონტაჟდა SD-SDI სიგნალების ელექტრონული ავარიული გადამრთველი,რომელიც უზრუნველყოფს I არხის სიგნალის შეუფერხებელ მიწოდებას ეთერში.

პროდიუსინგი

,,ჩემი წიგნი,,

ქრ. 52 წთ. სიხშირე კვირაში ერთხელ.

წამყვანი - რატი ამაღლობელი

საქართველოს მოსახლეობა ასახელებს თავის საყვარელ წიგნებს, რომელთაგან ყველაზე პოპულარული პროზაული ნაწარმოები პროექტის ბოლოს გამოვლინდება. მეორე კვარტალში ეთერში გავიდა გადაცემის 9 ეპიზოდი შემდეგი თემებით:

1. საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული 60 პროზაული ნაწარმოები.
2. რატომ ვერ მოხვდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის დიდი ნაწილი რჩეულთა შორის
3. წიგნი თუ ეკრანიზაცია
4. ლიტერატურის არატრადიციული კლასიფიკაცია
5. მთარგმნელის პროფესია-ხელოვნება თუ ხელობა
6. ლიტერატურული მარათონის გზა-სტრატეგიიდან ფინალამდე
7. 15 რჩეული წიგნი-ბრძოლა საყვარელი ნაწარმოების გამარჯვებისთვის
8. 15 წიგნი და 15 წარმდგენი
9. რაზე მეტყველებს ის 15 წიგნი, რომელიც მკითხველმა აირჩია. სეზონის ბოლო შეხვედრა.

გადაცემებში მოწვეულები იყვნენ: მწერლები, ლიტერატორები, მთარგმნელები, გამომცემლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ვისაც წიგი და ლიტერატურა უყვარს.

რეალური სივრცე

ქრ. 52 წთ. სიხშირე -კვირაში ერთხელ
წამყვანი-ნინო ზაუტაშვილი

თოქ-შოუ სოციალურ თემებზე, სადაც ცენტრალური ფიგურა ადამიანია, თავისი რთული ისტორიით, პრობლემებით. მეორე კვარტალში გავიდა 10 გადაცემა, შემდეგი თემებით:

1.პოლიტპატიმრებს ცხოვრება

2.ისტორიული უბნის თანამედროვე ისტორია

3.ვეტერანთა ჰოსპიტალი და იქ მომუშავე ექიმტა პრობლემები

4.C ჰეპატიტის პრობლემა სოციალურ ჭრილში

5. სამშენებლო ბუმით დაზარალებულთა ცხოვრება

6. დევნილები, რომლებმაც კედლები სახლად აქციეს და ისინი, ვინც ოც წელზე მეტია საკუთარ ბინებში შესვლას ვერ ახერხებენ. ერთი სახლი და ორი სიმართლე

7. შრომითი მიგრანტებისა და საქართველოში დაბრუნებულების ცხოვრება

8. ცხოვრება ნაგავსაყრელთან ახლოს

9. ზღვარი სიღარიბესა და სიღატაკეს შორის - ქულები, რომელთა რაოდენობა ადამიანების ყოფას განსაზღვრავს

10. სოფლები კონფლიქტის ზონაში - ცხოვრება რეალურ ზღვარზე პირობით საზღვართან

გურმანია

ქრ. 26 წთ. სიხშირე-კვირაში ერთხელ

წამყვანები: თამთა კიკალიშვილი, ვახტანგ დევდარიანი

კულინარული გადაცემა, სადაც წამყვანები მაყურებელს სტუმრებთან ერთად აცნობენ სხვადასხვა ქვეყნის კულინარულ რეცეპტებს, სთავაზობენ მარტივად მოსამზადებელი კერძს და ა.შ.

მეორე კვარტალში გასულ გადაცემათა თემები, სულ 12 ეპიზოდი

1. ამერიკელი შეფის, ჯეი მაკარტის სტეიკ ტური საქართველოში
2. ქართული კერძები ეროპულ გემოზე
3. სააღდგომო გურმანია
4. ინგრედიენტი როგორც ინსირაცია
5. მუსიკის გემო „გურმანიაში“
6. გზა სამზარეულოდან სუფრამდე - რა ხდება მანამ, სანამ კერძი სტუმრამდე მივა.
7. გურმანია „რომის 4-ში“
8. მოგზაურობა ინდონეზიაში (ნაწილი პირველი)
9. მოგზაურობა ინდონეზიაში (ნაწილი მეორე)
10. კუნძული ბალი - მოგზაურობა ინდონეზიაში (ნაწილი მესამე)
11. საფეხბურთო გურმანია
12. კულინარიული ექსპერიმენტები

,,სამოთხის ვაშლები,,

ქრ. 52 წთ. კვირაში ერთხელ

წამყვანები: ნანა ფაჩუაშვილი, სალომე დადუნაშვილი, რუსუდან მანჯგალაძე

გადაცემის წამყვანები მოწვეულ სტუმრებთან ერთად საუბრობენ საზოგადოებისთვის საინტერესო თემებზე, საინტერესო ადამიანების შესახებ.
მეორე კვარტალში გავიდა 12 გადაცემა
თემები:

1. 9 აპრილი
2. ენის დღე
3. საეკლესიო ხელოვნება
4. საქართველო ირჩევს ევროპას
5. სესილია თაყაიშვილი
6. ჯანსუღ კახიძე
7. სოფიკო ჭიაურელი
8. 26 მაისი-დამოუკიდებლობის დღე
9. მეორე არხი
10. ქალები და ფეხბურთი
11. დოდოდ აბაშიძე
12. თბილისი

,,ჩემი ფერმა,,

ქრ. 26 წთ. კვირაში ერთხელ
წამყვანი - გია აბესალაშვილი

მეორე კვარტალში ეთერში გავიდა 14 გადაცემა. გადაცემის თემები იყო შემდეგი:

1. ხეხილი და მებაღეობა რეგიონი ყვარელი
2. მცირე მეურნეობა იხვების მოვლა მოშენება. რეგიონი თელეთი.
3. უნარშეზღუდულთა სათემო მეურნეობა. გრემი კახეთი.
4. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებ პროდუქტების ლაბორატორია.
5. საძოვრების პრობლემა და საკვებ წარმოება რეგიონი - თეთრიწყარო სოფ სამღერეთი.
6. ბიოჰუმუსი და კარტოპილის დარგვის ახალი მეთოდი რეგიონი ბოლნისი.
7. თემა წვეთოვანი მორწყვის სისტემა და კენკროვნები. რეგიონი წეროვანი.
8. საადრეო კართოფილი და პომიდვრის დარგვის ახალი ტექნოლოგიები. რეგიონი გარდაბანი.
9. თხილის პლანტაციები და კოოპერატივები რეგიონი სამეგრელო. ჩხოროწყუ
   -სანერგეები რეგიონი გორი
10. სანერგეები რეგიონი გორი
11. სანერგეები რეგიონი გორი
12. თუშეთის სანერგეები რეგიონი
13. თემა აგროტურიზმი რეგიონი თუშეთი. შენაქო ომალო
14. რეგიონი სამეგრელო ჩხოროწყუ. ტუნგო

ლიხს იქით და ლიხს აქეთ

ქრ. 26 წთ. სიხშირე-კვირაში ერთხელ

მეორე კვარტალში სულ გავიდა 11 გადაცემა. გადაცემები მომზადდა შემდეგი რეგიონების ღირშესანიშნაობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, წარსულისა და დღევანდელობის, სამომავლო პერსპექტივების, სოციალური პრობლემების შესახებ. გაშუქდა ამ რეგიონების კულტურა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ეთნოგრაფია, ეკოლოგია, ტურიზმი, ფოლკლორი. სენაკი, თერჯოლა, წალკა, ქედა, წყალტუბო, ლანჩხუთი, ბაღდათი, ასპინძა, წალენჯიხა, შუახევი, ონი

,,ყოჩაღების ქუჩა,,

საბავშვო შემეცნებით-გასართობი გადაცემა
ქრ. 26 წთ. სიხშირე-კვირაში ორჯერ.
წამყვანი-გიორგი გოგიჩაიშვილი

მეორე კვარტალში გავიდა 25 გადაცემა, მათი თემები:

1. სპილო
2. გაზაფხული
3. მზე, ვარსკვლავები
4. ფუტკარი
5. თუთიყუში
6. სააღდგომო
7. თამაში
8. საათი
9. მაიმუნი
10. ყვავილები
11. წვიმა
12. ჩიტები
13. ტრანსპორტი
14. პეპელა
15. მზე, ქარი
16. ცხენები
17. ფისო
18. ბავშვთა უფლებების დაცვის დღე
19. ტკბილეული
20. დალაგება
21. ფეხბურთი
22. მუსიკა
23. დაბადების დღე

24. ვიტამინები
25. ზღაპრის გმირები

,,შემოძახილი,,

ქრ. 26 წთ. სიხშირე-კვირაში ერთხელ
წამყვანი-გია ბაღაშვილი

მეორე კვარტალში გავიდა 11 გადაცემა. გასულ გადაცემათა თემები:

1. ქართული ფოლკლორი (პირველი ნაწილი)
2. არტემ ერქომაიშვილი
3. სააღდგომო ტრადიციები
4. ქალაქური ფოლკლორი (მეორე ნაწილი)
5. გურამ თამაზაშვილი
6. საინტერესო ფოლკლორული ნიმუშები
7. სახუმარო სიმღერები
8. ქართული ხასიათი და სიმღერა (ზაზა შათირიშვილი პირველი ნაწილი)
9. ქართული ხასიათი და სიმღერა (ზაზა შათირიშვილი მეორე ნაწილი)
10. სვანური სიმღერები
11. თელაველი მომღერლები

,,ქართული ჯარი,,

ქრ.26 წთ. სიხშირე-კვირაში ერთხელ
წამყვანი-გიორგი ცხვიტავა

აპრილი-მაისი-ივნისის პერიოდში მომზადდა და ეთერში გავიდა 12 გადაცემა შემდეგი თემებით:
1.თანამედროვე ქართული ჯარის მოწყობა, რეფორმები და ჯარის განაგება;

2.რა საფრთხეების წინაშეა საქართველო;

ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან სამხედროების დისლოკაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ავღანეთში;

3. გელა ჭედია - 2008 წლის ომში დაღუპული ბატალიონის მეთაურის პორტრეტი;
ინტერვიუ ესტონეთის თავდაცვის მინისტრთან საქარველოს ნატო-ში გაწვრიანების შესახებ;

მთავრობის ინიციატივა სტუდენტების ჯარში სამსახურის შესახებ;

4.ქართველ სერჟანთა მომზადება;

საქართველოს შეიარაღებული ძალების 23 წლის იუბილე;

რუსეთ-დასავლეთის სამხედრო თანამშრომლობა, კერძოდ, „მისტრალები“-ს პროექტის შეჩერება;

5.გადაიარაღება რუსეთის შეიარაღებულ ძალებში; ვითარება უკრაინაში არჩევნების წინ;

უკრაინის შეიარაღებული ძალები;

6.ფაშიზმის დამარცხება;

43-ე ბატალიონის წვრთნები;

ქართველი მებრძოლების გადმოსვენება აფხაზეთიდან;

7.ეროვნული გვარდიის მისია ავღანეთში;

შეიარაღებული ძალების თავდაცვითი შესაძლებლბები;

წვრთნსა და აღჭურვის პროგრამა - ინტერვიუ დავით თევზაძესთან;

8. ინტერვიუ პოლკოვნიკ ჩაჩხიანთან (სამხედრო ისტორიკოსი) საქართველოს დამოუკიდბლობის მოპოვების შესახებ 1918 წ.

საქართველოს შეიარაღებული ძალები პირველი რესპუბლიკის პერიოდში;

ქართული ჯარის შეიარაღება 1918-21წწ.

9.2008 წლის ომში დაღუპული ბატალიონის მეთაურის - შალვა დოლიძის პორტრეტი

ქართული წარმოების აღჭურვილობა;

უელსი სამიტი და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის;

10.შეიარაღებული ძალების პირველი მისია ევროკავშირის ეგიდით;

რუსეთის გააქტიურება აფხაზეთში;

საბრძოლო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში;

11.ვითარება ერაყში - ტერორისტების შეტევა;

რუსეთის შეიარაღებული ძალების გადაჯგუფება;

ძირითადი საბრძოლო მომზადების კურსი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

12.21 წელი ტამიშის დესანტიდან;

სუ- 25 მოერიშე თვითვმფრინავების გაყიდვა თავდაცვის სამინისტროს მიერ;

რუსეთ-დასავლეთის სამხედრო თანამშრომლობა ყირიმის აგრესიის ფონზე;

ევროვიზია

აპრილის თვეში, ევროვიზიისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯგუფ „შინ“-ის წევრები და მარიკო ებრალიძე რეპეტიციებს ყოველდღიურად გადიოდნენ.

ევროვიზიის 2014 წლის წარმომადგენლებს ინტერვიუები ქონდათ, როგორც ქართულ პრესასთან ასევე უცხოური მასმედიის წარმომადგენლებთან.რეპეტიციების პარალელურად დიზაინერები ავთანდილი და დათუნა სულიკაშვილი სასცენო კოსტიუმებზე მუშაობდნენ მომღერლებთან ერთად.

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე კი ჯგუფის წევრებმა და მარიკო ებრალიძემ ევროვიზიის მონაწილე ყველა ქვეყნისთვის სპეციალური მიმართვები ჩაწერეს, რომელიც შემდგომ ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა.

27 აპრილს ქართული დელეგაცია დანიაში გაემგზავრა.პირველი რეპეტიცია რაფშელონ არენაზე ქართველმა მომღერლებმა 29 აპრილს გაიარეს, რის შემდეგაც მათ უკვე პირველი პრეს-კონფერენცია გამართეს.რეპეტიციების და ინტერვიუების პარალელურად ჯგუფ „შინ“-ს და მარიკო ებრალიძეს ყოველ საღამოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ევროვიზიის ფარგლებით დაგეგმილ საღამოებზე ეპატიჟებოდნენ, სადაც ქართველი წარმომადგენლები საკონკურსო სიმღერის გარდა, სხვა ნაწარმოებსაც აასრულებდნენ.

2 მაისს კი დანიაში საქართველოს საელჩომ სპეციალურად ევროვიზია 2014 -ის ქართველი მონაწილეებისვის მიღება გამართა,რომელსაც კოპენჰაგენში მცხოვრები ქართველებიც დაესწრნენ. ჯგუფმა „შინ“-მა და მარიკომ ექსპრონტად რამდენიმე სიმღერაც შეასრულეს.

თუ როგორ ემზადებოდნენ ქართველი წარმომადგენლები კონკურსისთვის მაყურებელს შეეძლო ეხილა სპეციალურად მომზადებულ დოკუმენტურ ფილმებში, რომელიც პირველი არხის ეთერში ნახევარფინალამდე სამი დღით ადრე გავიდა.

204 წლის კონკურსში 37 ქვეყანა მონაწილეობდა. ევროვიზიის პირველი ნახევარფინალი 6 მაისს გაიმართა, ხოლო 8 მაისს უკვე მეორე ნახევარფინალზე მაყურებელმა ჯგუფ „შინ“ და მარიკო ებრალიძის ნომერი იხილა, სიმღერით„Three Minutes To Earth“- რომლის ავტორიც ზაზა მიმინოშვილი იყო, ხოლო სასცენო ვერსიაზე კი რეჟისორმა ბასა ფოცხიშვილმა და მხატვარმა თამარ ფოცხიშვილმა იმუშავეს.

უცხოეთში არსებული საელჩოების და საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივით რამდენიმე ქვეყანაში, რომელიც ხმას აძლევდა საქართველოს წარმომადგენლებს ევროვიზიის მეორე ნახევარფინალზე,შეიკრიბნენ ქართველები, რომლებიც ერთად უყურებდნენ ევროვიზას და უმესიჯებდნენ ქართველ მონაწილეებს.

სამწუხაროდ 2014 წლის ქართველი მონაწილეები ევროვიზიის ფინალურ კონცერტზე ვერ მოხვდნენ.

შეგახსენებთ რომ ევროვიზიაზე საქართველო უკვე მე-7 წელია მოწილეობს და ეს მეორე შემთხვევა, იყო როდესაც ქართველმა კონკურსანტებმა ფინალში ვერ იმღერეს.

სპორტი

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სპორტული მიმართულება პირველი და მეორე არხების პირდაპირ ეთერში 122-ჯერ გავიდა. სპორტის სხვადასხვა სახეობებში 79 პირდაპირი რეპორტაჟი, რომელთა დიდი ნაწილი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოდის, 20 სპორტული გადაცემა, ჩემპიონთა ლიგის 7 დღიური და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტების 16 ფილმი.

აპრილში სპორტული **თოქ-შოუ ''არენა''** გეგმიურად ყოველ ხუთშაბათს საღამოს ეთერში 22 საათზე გადიოდა. პროგრამამ ვრცლად მოიცვა ამ თვეში მიმდინარე მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებები. კერძოდ ქართველი ძიუდოისტების წარმატებული გამოსვლა პარიზის დიდი სლემის ტურნირზე. მომზადდა ვრცელი სიუჟეტი. სტუდიაში მოწვეული იყო ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, რომელმაც ასევე ისაუბრა მოახლოებულ თბილისის ''გრანპრიზე'', რომელსაც საქართველომ პირველად უმასპინძლა.

საინტერესო საუბარი გამოდგა პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცენატ და ბიზნესმენ დავით გვაზავასთან, რომელიც საქველმოქმედო მიზნით ეწვია თბილისს და ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს გარკვეული დახმარებები გაუწია.

აპრილში პირველ ქართულ სპორტულ გაზეთს ''ლელო''-ს დაარსებიდან 80 წელი შესრულდა. ''არენამ'' ვრცელი სიუჟეტი მოამზადა, რომელშიც საარქივო მასალები და ფოტოები იყო გამოყენებული. სტუდიის სტუმრებმა -''ლელოს'' მთავარმა რედაქტორმა, სპორტულმა ჟურნალისტმა ჯამლეტ ხუხაშვილმა და მიმომხილველმა დავით კაკაბაძემ ისაუბრეს გაზეთის მიერ განვლილ გზაზე, ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა ტელეფონის საშუალებით პირდაპირ ეთერში აზრი გამოეთქვა გაზეთის შესახებ.

ქართველმა ჩოგბურთელმა ქალებმა წარმატებული სეზონის შემდეგ პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. მაკა შაფათავა, თეა გორგაძე, ნატო შხვაცაბაია და ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე მეტრეველი (უმცროსი) სტუდიის სტუმრები იყვნენ.

''არენამ'' საშუალებ მისცა სპორტის მოყვარეებულებს და ტელემაყურებლებს საქართველოს და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანისგან შეეტყო უწყების მიერ ჩატარებულ საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე.

განსხვავებულ ფორმატში პირდაპირ ეთერში გავიდა ''არენა'' სპორტის სასახლიდან, სადაც ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ნაკრების დასკვნითი ვარჯიში მიმდინარეობდა. საქართველოს ფედერაციის ხელმძღვანელები, მწვრთნელები და სპორტსმენები პირველი არხის პირდაპირ ეთერში წარსდგნენ ტელემაყურებელთა წინაშე.

''საფეხბურთო მიმოხილვა'' აპრილში პირდაპირ ეთერში 23 საათსა და 30 წუთიდან გადიოდა. თავისთავად ყველა გამოშვებაში დროის უმეტესი ნაწილი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ეთმობოდა. ტურის ყველა შეხვედრის მიმოხილვა ჩვენი კორესპონდენტების მიერ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მზადდებოდა .

სპორტული მიმართულების მიერ ამ თვეში მომზადდა და ეთერში გადაიცა ყოველკვირეული ჩემპიონთა ლიგის დღიური- ქრონომეტრაჟით 30 წუთი.

რაც შეეხება რეპორტაჟებს: პირდაპირ ეთერში გადაიცა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედ და ნახევარფინალური 6 მატჩი. ფეხბურთსა და კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატების 4 შეხვედრა და ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის ხუთი დღის ფინალური შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟები საფრანგეთიდან.

იგივე რეჟიმით იმუშავა სპორტულმა მიმართულებამ მაისშიც. თოქ-შოუ ''არენამ'' 5 გამოშვება შესთავაზა პირდაპირ ეთერში ტელემაყურებელს.

4 მაისი გამოცხადებული იყო სირბილის მსოფლიო დღედ. ''არენამ'' ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა ამ მოვლენას. მოძიებული იქნა საარქივო მასალები, ვიდეომასალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან- მოხდა პირდაპირი ჩართვა თბილისში საორგანიზაციო შტაბიდან, ხოლო სტუდიაში მოწვეულნი იყვნენ ღონისძიების ორგანიზატორები.

ქართველმა მორაგბეებმა, რომლებსაც 2015 წლის, რომლებმაც 2015 წლის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს მზადება დაიწყეს და საერთაშორისო ტურნირებში ჩაებნენ. ნაკრების დაკომპლექტებაზე, სავარაუდო სპარინგ-პარტნიორებზე გუნდის მწვრთნელთა შტაბზე ირაუბრა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ. ყურადღება დაეთმო საქართველოს ჩემპიონატის ფინალსაც.

''არენაში'' გაშუქდა ქართულ მინი-ფეხბურთში შექმნილი პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და დაფინანსების საკითხი. ამავე გამოშვებაში საუბარი იყო ტრაგიკულად დაღუპულ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პირველ პრეზიდენტ დუდუ დადიანზე , რომლის ძალისხმევითაც გზა გაიკაფა ევროტურნირებისაკენ.

საინტერესო გამოდგა საქართველოში საქმიანი ვიზიტით მყოფი უცხოელი ექსპერტების სტუმრობა, რომლებმაც ფან-კლუბების შესახებ მოგვაწოდეს საინტერესო ცნობები. განმარტეს თუ როგორ უნდა იყო ფანკლუბი , მათი გულშემატკივრობა და სტადიონებზე ქცევის წესები.

''არენამ'' გარკვეული დრო დაუთმო საქართველოში წყალბურთის დახმარების ფონდის შექმნას , რომლის პრეზენტაცია ექსკლუზიურად ჩვენი არხის პირდაპირ ეთერში მოხდა.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ქართველი ფალავნების წარმატებულ გამოსვლას სათანადო ყურადღება დაუთმო პროგრამამ.

რაც შეეხება საფეხბურთო მიმოხილვას- ისიც მაისში პირდაპირ ეთერში ყოველ ორშაბათს გადიოდა და პირველივე გამოშვებას იგი საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა ''დინამოსა'' და ''ზესტაფონის'' შეხვედრის შემდგომ პერიპეტიებს შეეხო.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს ფინიშის სწორზე ლიდერობის ქულათა საკმაო ფორა გააჩნდა, ზესტაფონში ამ შეხვედრას სატურნირო ცხრილში მცირე კორექტირების შეტანა შეეძლო. გადაცემაში დეტალურად გაირჩა მატჩი. გარდა ამისა მიმოიხილა ზედა ექვსეულის ყველა დაპირისპირება.

თბილისს სულ რამდენიმე დღით ეწვია ბერლინის ''ჰერტას '' კაპიტანი და საქართველოს ნაკრების წევრი ლევან კობიაშვილი, რომელმაც ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა ჩვენს პროგრამას.

მორიგი გამოშვება დაეთმო გაჩემპიონებულ თბილისის ''დინამოს'' რომელმაც ერთი ტურით არე მოიპოვა ოქროს მედლები და ახლა აქცენტს საქართველოს თასის ფინალზე აკეთებდა. სტუდიის სტუმრები იყვნენ ფინალისტების მთავარი მწვრთნელები და ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის თავჯდომარე დიმიტრი ბოკერია.

მაისის ბოლო გამოშვება თასის ფინალურ მატჩს და ჩვენი გუნდების ევროტურნირებისათვის მოსამზადებელ ეტაპს დაეთმო.

მაისში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სპორტის მოყვარულთ ფეხბურთსა და კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპების შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟები შესთავაზა. პირდაპირ ეთერში გადაიცა ასევე რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის ფინალი.

21 მაისს ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა. ჩემპიონთა ლიგის დღიური სეზონის დასკვნითი სამი გამოშვება მაისში გავიდა.

ივნისი - ყველაზე დატვირთული თვე. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი , რომელმაც სტარტი 12 ივნისს აიღო. ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით, მანამ სპორტული მიმართულება გაგმიურად კვლავ ეთერში იყო.

''საფეხბურთო მიმოხილვას'' პირველი არხის ორი პირდაპირი ეთერი დაეთმო. პირველი გამოშვება- ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო გეგმა, გუნდების დაფინანსება და რაც მთავარია პოლემიკა- რამდენი გუნდი უნდა იყოს მომავალ ჩემპიონატში 12 თუ 16. კლუბების, სამინისტროს და ფედერაციის ხელმძღვანელები დებატებში.

მეორე გამოშვება მიხეილ ყაველაშვილის განცხადებას და სტრატეგიულ მოსაზრებებს დაეთმო. ყაველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირდა და მან პროგრამა წარმოგვიდგინა.

რაც შეეხება თოქ-შოუ ''არენას'' მას მუშაობა მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებშიც არ გაუჩერებია, მხოლოდ საეთერო დრო მოინაცვლა და თავისი გამოშვებები სპორტის რიგ სახეობებს დაუთმო. კერძოდ მოამზადა 40 წუთიანი დოკუმენტური ფილმი ქართულ ჩოგბურთზე-მის ისტორიაზე, წარსულსა და დღევანდელობაზე.

12 ივნისს კი თითქმის სამი საათის განმავლობაში იყო ეთერში მთავარი თემით-ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი. სტუდიის საინტერესო სტუმრები-ფეხბურთელები , ჟურნალისტები, ცნობილი სახეები. ჩართვები ფანკლუბებიდან , ტელევიქტორინა, ''ნატახტარის'' გათამაშება და რა თქმა უნდა საუბარი ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

თბილისმა ივნისში ორ ევროპულ ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსანთა მესამე ლიგას და ფარიკაობაში ახალგაზრდულ პირველობას. ორივე ტურნირს ''არენამ'' სათანადო ყურადღება დაუთმო და საინტერესო ვიდეომიმოხილვა შესთავაზა ტელემაყურებელს.

4-12 ივნისს პირველი არხის ეთერში გავიდა ბრაზილიის ჩემპიონატში მონაწილე ყველა ფინალისტზე გადაღებული სპეციალური დოკუმენტური ფილმები

ივნისში პირველი არხით გადაიცა ფეხბურთში საერთაშორისო ამხანაგური მატჩი საქართველო- არაბთა გაერთიანებული საემიროები - რეპორტაჟი ავსტრიიდან. ასევე რაგბში თბილისის საერთაშორისო ტურნირის სამი შეხვედრა და ავტორბოლაში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი.

12 ივნისიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები შესთავაზა ტელემაყურებელს. დღეში სამი შეხვედრა და ორი საფეხბურთო მიმოხილვა ''ბრაზილია 2014''. მომიხილვებში ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა მატჩების დეტალური განხილვა, ჩართულიყო ტელევიქტორინებში, მოეგო პრიზები. გარდა ამისა სტუდიაში მოწვეულნი იყვნენ ვეტერინარი და მოქმედი ფეხბურთელები: ძმები არველაძეები, დავით მუჯირი, ზაზა ჯანაშია, მიხეილ ყავედაშვილი, ლადო ბურდული, გიორგი დემეტრაძე, ოთარ გაბელია, ვლადიმერ მიეცაევი, ზურაბ ხიზანიშვილი, მურთაზ ხურცილავა. ჟურნალისტები, ტელეწამყვანებ, საზოგადო მოღვაწეები, ხელვანები და სპორტის სხვადასხვა სახეობების წარმომადგენლები. ეწყობოდა პირდაპირი ჩართვები ფანკლუბებიდან. ტელემაყურებელს საშუალება მიეცა პირდაპირ ეთერში ტელეფონით ჩართულიყო მიმოხილვებში და თავისი აზრი გამოეთქვა.

54 პირდაპირი რეპორტაჟი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატიდან და ''ბრაზილია 2014''-36 გამოშვება.

ივნისში აღებული საფეხბურთო სტარტი ივლისში გადაინაცვლებს და საინტერესო მატჩებთან ერთად არანაკლებ საინტერესო მიმოხილვებსაც შესთავაზებს ტელემაყურებელს.

გადაცემა „ჩვენი დილა“

ზოგადი აღწერა

"ჩვენი დილა" გასართობ-შემეცნებითი შოუა მთელი ოჯახისათვის, რომლის ფორმატშიც შერწყმულია სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია, კულტუროლოგიური, შემეცნებითი, ინფორმაციული, ინტერაქტიული, სოციალური, მუსიკალური, საბავშვო, სპორტული და გასართობი თემატიკის რუბრიკები.

ყოველ სამუშაო დღეს, 07:30 - დან 10:30 საათამდე "ჩვენი დილის" ეთერში პირველი არხის მაყურებელი ინფორმაციას და რჩევებს იღებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან: მსახიობებისგან, მუსიკოსებისგან, იურისტებისგან, ფსიქოლოგებისგან, ექსპერტებისგან, კონსულტანტებისგან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან. გადაცემაში ინტეგრირებულია აქტუალური თემები, საავტორო რუბრიკები, ექსკლუზიური სიუჟეტები, საინტერესო ისტორიები, პრესის მიმოხილვა, მუსიკა, ამინდი, ჰოროსკოპი. „ჩვენი დილის“ მაყურებელი მუდმივადერთვებაპროგრამისმსვლელობაშიდაწამყვანებსთუმოწვეულსტუმრებს

2014 წლის II კვარტლის ძირითადი მიმართულებები

„ევროპის დროით“ - 2014 წლი სმეორე კვარტალის განმავლობაში პროგრამაში გაგრძელდა ევროინტეგრაციისადმი მიძღვნილი რუბრიკა „ევროპის დროით“. „ევროპის დროით“ საქართველოს მოსახლეობას ესაუბრება საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე. რუბრიკა ყოველი თვის ყოველ მეორე პარასკევს გადის ეთერში. „ევროპის დროით“ კონრად ადენაუერის ფონდის და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება და შემეცნებით ხასიათს ატარებს.

„ფორბსი წარმოგიდგენთ“ - 2014 წლის მეორე კვარტალში გრძელდება რუბრიკა „ფორბსი წარმოგიდგენთ“. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს „ჩვენი დილის“ ეთერში გადაცემის წამყვანები ყველაზე გავლენიანი ქართული ბიზნეს-გამოცემის „Forbes Georgia“ -ს მასალებზე დაყრდნობით, მაყურებელს აწვდიან ინფორმაციას საინტერესო ადამიანებზე, იდეებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც ცვლიან სამყაროს. ყოველი თვის ბოლო პარასკევს „Forbes Georgia“ -ს წარმომადგენელი სტუმრობს გადაცემას და წამყვანებთან ერთად მაყურებელს უყვება ცალკეული

მეწარმეების, ბიზნესმენებისა და სხვა პროფესიის ადამიანების წარმატების ისტორიებს, რომლებიც მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ და ცვლიან სახელმწიფოსა და საზოგადოების ბედს.

საფეხბურთო მიმოხილვა -2014 წლის მეორე კვარტალში ჩვენს დილას დაემატა რუბრიკა „საფეხბურთო მიმოხილვა“. მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში ჟურნალისტი ელენე ბილიხოძე მიმოიხილავს მსოფლიო ჩემპიონატს, თითოეული ტურის ყოველ მატჩს. მოწვეულ სტუმრებთან ერთად საუბრობს გასულ მატჩებზე და სამომავლო პროგნოზებზე.

<u>მთავარი თემა -</u> გადაცემის წამყვანები მთავარი თემის ბლოკში სტუმრებთან ერთად ყოველდღიურად საუბრობენ საზოგადოებრივ თუ ყოფით ცხოვრებაში მიმდინარე კონკრეტულ მოვლენაზე/პრობლემაზე. მოსახლეობა მუდმივად ერთვება პროგრამის მსვლელობაში და წამყვანებს თუ მოწვეულ სტუმრებს განსახილველ თემატიკაზე საკუთარ აზრს აწვდის, ასევე იღებს პასუხებს მისთვის სასურველ ნებისმიერ კითხვაზე კომპეტენტური სტუმრებისგან.

<u>დილის საუბრები</u> - რუბრიკას უძვება ჟურნალისტი ნანა ყურაშვილი. ეს რუბრიკა გულისხმობს ყოველდღიურ შეხვედრებს ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან (პოლიტიკოსების გარდა).

<u>პირდაპირი ჩართვების რუბრიკა</u> - ამზადებენ ჟურნალისტები ლევან ჯობავა და ლიკა მოშიაშვილი. რუბრიკა შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვავანი და საინტერესო ამბები, მოვლენის მიმდინარეობის ადგილიდან მიაწოდოს მაყურებელს. ამ რუბრიკით ხშირია მუსიკალური ნომრების წარმოდგენებიც.

<u>საბავშვო ბლოკი</u> -წარმოდგენილია12წუთიანიმულტფილმისჩვენებით.

<u>სოციალური ბლოკი</u> - მეორე კვარტლის განმავლობაში გადაცემაში კვლავ აქტიურად შუქდება სოციალური პრობლემები. მთავარი თემის გარდა, გადაცემაში ინტეგრირებულია რუბრიკა „თემატიკა მონაცვლეობით“. რუბრიკა დატვირთულია სოციალური თემატიკის რეპორტაჟებით.

<u>კულტურის ბლოკი</u> - „ ჩვენი დილის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ნაწილს კვლავ წარმოადგენს კულტურის სფეროს პოპულარიზაცია. ამ მიზნით გადაცემაში ყოველდღიურად კეთდება სიუჟეტები როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ კულტურის სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

„რჩევები“, ჰოროსკოპი“ „დილის პრესა“ „ამიდის პროგნოზი“, „სპორტის მიმოხილვა“ -პროგრამაში დარჩა ტრადიციული რუბრიკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი პროგრამის განმავლობაში ის რუბრიკები, რომლებიც შეიცავენ მაყურებლისთვის სასარგებლო ინფორაციას „რჩევები“, ჰოროსკოპი“ „დილის პრესა“ „ამიდის პროგნოზი“, „სპორტის მიმოხილვა“) მეორდება მათთვის, ვინც პროგრამას გვიან შემოუერთდა.

II კვარტლის მთავარი თემები:

1. დოკუმენტური ფილმი "ხელმწიფე" საერთაშორისო ფესტივალებზე
2. სახარების დასურათება დაიწყო
3. ფესტივალი "არტ-გენი 2014"
4. საქველმოქმედო კონცერტი
5. შეხვედრა შატო მუხრანში
6. იპოთეკის ხელშეკრულება
7. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება
8. ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული
9. ინკლუზიური ტურიზმი
10. ნაპოვნია ნიკო ფიროსმანის სავარაუდო საფლავი
11. პირველად საქართველოში ორთაბრძოლა k1-ის წესებით
12. ტრადიციული ქართული სამზარეულო ინოვაციებით
13. თემურ მათურელის ხსოვნის საღამო
14. აქცია "აქტიური ცხოვრება - ჩემი სტიქია"
15. გზა ევროკავშირამდე
16. ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკური ასპექტები
17. გზა ევროკავშირამდე
18. მუსიკოს დათო ოძელაშვილის გახსენება
19. ბერი ანდრიას ფონდი
20. სახელმძღვანელო პედაგოგებისთვის - "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა"
21. თანამედროვე "არგონავტი" ტიმ სევერინი საქართველოში ბრუნდება
22. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა
23. ნარკომანიასთან ბრძოლის დღე
24. სპექტაკლ "ნავიგატორის" პრემიერა
25. შრომითი მიგრაცია
26. განვრცობილი პროსტატის კიბო
27. ამერიკული სასწავლო პროგრამა ექიმებისა და ექთნებისათვის
28. სტუდია-სახელოსნო ახალგაზრდა მომღერლებისთვის
29. XIII ს -ის ფსალმუნების კრებულის თანამედროვე ანალოგი გამოიცა
30. "მომავლის გზა" იუბილეს აღნიშნავს
31. ლოპოტას ხეობა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო გრან-პრის უმასპინძლებს
32. საერთაშორისო ფოტოკონკურსი "ყურადღება, გაიღიმეთ" დაიწყო
33. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი -"CineDoc"
34. მსოფლიო ჩემპიონატი 2014
35. პირველი ახალგაზრდული საინფორმაციო პორტალი
36. გზა ხევსურეთში

37. საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტი აზიის თეატრალური სასწავლებლების კონფერენციაში მონაწილეობდა
38. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და ევროკავშირი
39. კომპოზიტორ ნანა მესხის შემოქმედებითი საღამო
40. ისრაელის კამერატას შემოქმედება
41. "ოქროს პეპელა" 2014 დასრულდა
42. ჟურნალი "მარკეტერი" ღონისძიებას აწყობს
43. არჩევნები და ქალები
44. ეკონომიკური გამოფენა
45. "რკინის თეატრი" იხსნება
46. ნანა ცინცაძის შემოქმედებითი საღამო და ლექსების კრებულის პრეზენტაცია იგეგმება
47. არქიტექტურის III საერთაშორისო ფესტივალი
48. სამოქალაქო განათლების საგაზაფხულო ბანაკი
49. თბილისი Open Air 2014 იწყება
50. 26 მაისის ისტორია
51. საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო იუბილარია
52. ადამიანების უფლებათა დაცვის სტრატეგია
53. პროექტი "თანადგომა" - კონცერტი-ლექციები დევნილებისთვის
54. ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წლისთავი აღინიშნება
55. თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მუსიკალური ფესტივალი გაიმართება
56. კანის კიბოსთან ბრძოლის კვირეული
57. როგორ ვმართოთ ფინანსები
58. მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული
59. ფესტივალი "ერთსულოვნება"
60. ქალები პოლიტიკაში
61. "შეიქმენი მომავალი დღეს" - რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვირეული
62. ციხის ექთნების პროფესიული განვითარების პროგრამა
63. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ხატი რამდენიმე დღეა საქართველოშია
64. ევროკავშირის დაბადების დღე
65. ფოლკ-თეატრი "ლილე"
66. იშხანის რესტავრაცია
67. როგორ მოწმდება წყალსა და ჰაერში დაბინძურება
68. ჯგუფ "ირიაოს" კონცერტი გაიმართება
69. სტუდენტური კინოფესტივალი
70. მემკვიდრეობის დამტკიცება გამარტივდა
71. ჯაზის საერთაშორისო დღე ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში
72. თბილისის მოდის კვირეული
73. ფესტივალი "მომავლის ვარსკვლავები 2014" იწყება
74. 28 აპრილს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში მსმენელის წინაშე ამერიკელი მუსიკოსები წარდგებიან
75. ევროპული ინტეგრაცია და ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა
76. ქართველი კონკურსანტები ევროვიზიაზე მიემგზავრებიან
77. უმაღლესი ლიგის ფლეიოფი
78. ფესტივალი "აღდგომიდან - ამაღლებამდე" იწყება
79. "პორტაიტის" სასწაულმოქმედი ხატი
80. ქართული ძეგლები იერუსალიმში
81. "შავფაროსნების“ მზადება ევროპის ფესტივალისთვის

82. "მე პატარა ქართველი ვარ" - Prix Circom-2014-ის რჩეული დოკუმენტური ნამუშევარი
83. საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნამუშევარი "Prix Circom"-ის დაჯილდოებაზე
84. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი
85. ხელნაწერთა ინსტიტუტში გამოფენა "ჩემი დედაენა" გაიხსნება
86. 1978 წლის 14 აპრილის ისტორია
87. აქცია-კონცერტი - "მე ვირჩევ ევროპას"
88. არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისში
89. 9 აპრილისადმი მიძღვნილი სიმღერა
90. ტრაგედიიდან - დამოუკიდებლობამდე
91. პროფესიული განათლების ფესტივალი
92. ნატო-ს კვირეული თბილისში
93. ირმა სოხაძეს ვარსკვლავს გაუხნიან
94. თბილისის საკრებულოსა და აშშ-ს ქართულ თემს შორის მემორანდუმი გაფორმდა
95. 1921 წლის მოვლენები და იუნკერები
96. საჯარო სამსახურის კანონის რეფორმა
97. სპორტის საერთაშორისო დღე
98. "ჩვენი დილის" სტუმარი - N ბენდი
99. ტყუილი - რას იტყუებიან ყველაზე ხშირად ადამიანები?
100. მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია სეზონს ხსნის

გადაცემა „დღეს“

ზოგადი აღწერა

პროგრამა „დღეს“ *შემეცნებით-გასართობი ყოველდღიური პროგრამაა (ქრონომეტრაჟი: 11:30-დან 14:00-მდე, პროექტს 12:00- ზე ჭრის მოამბის გამოშვება); პროექტი მრავალწამყვანიანი და მრავალსეგმენტიანია. ყოველდღიურად პროგრამაში წამყვანები „შლიან“ 7 ძირითად მიმართულებას:*

ინფორმაციული *- აწვდის მაყურებელს ინფორმაციას მომხდარი მოვლენების (ძირითადად სოციალური) შესახებ;*

შემეცნებითი *- მაყურებელს პოპულარული ენით უხსნის კონკრეტული გადაწყვეტილებების, ახალი სოციალური ხასიათის კანონპროექტების თუ კანონების და ა.შ. მნიშვნელობას;*

კულტუროლოგიური *- განიხილება იმ დღის მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური მოვლენა;*

სამედიცინო *- ყოველდღიურად ექიმი და წამყვანი მარი მალაზონია სტუმართან ერთად განიხილავს კონკრეტულ დაავადებას;*

მუსიკალური *- წამყვანი ლადო ტატიშვილი ყოველდღიურად მაყურებელს მოუთხრობს ამა თუ იმ მუსიკალური კომპოზიციისა თუ ავტორის შესახებ,*

კულინარიული *- პროგრამის მსვლელობისას სტუდიაში მზადდება დღის კერძი და მაყურებელი იღებს არა მხოლოდ რეცეპტს მზარეულისგან, არამედ ამომწურავ ინფორმაციას ექიმისგან, იმ ინგრედიენტების შესახებ, რომელიც იმ კონკრეტული კერძის მომზადებისას გამოიყენება.*

II კვარტლის მთავარი თემები:

1. სწავლისა და სწავლების მეთოლოგია დაწყებით კლასებში
2. უცხოელებზე მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები მზადდება
3. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სისტემა
4. "ორიფლეიმის" აქცია
5. განსხვავებულის მიმართ შიში და აგრესია
6. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენცია თბილისში
7. დაუგეგმავი ორსულობა ადრეულ ასაკში
8. გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა
9. რით იწამლებიან ადამიანები ყველაზე ხშირად ზაფხულში?
10. სტიქიით დაზარალებული ოჯახები, შიდა და გარე მიგრაცია
11. დისქავერის დელეგაცია ხარაგაულის ნაკრძალში და სენსაციური აღმოჩენები
12. პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოში
13. სექტემბრიდან სკოლებში სამედიცინო ოთახი აღდგება
14. აბორტი - გადაუჭრელი პრობლემა საზოგადოებაში
15. ქვეწარმავლები სახლებსა და ეზოებში
16. ავტომობილების სავალდებულო დაზღვევა
17. ერთი თვით ბრაზილიაში
18. ელექტრო სიგარეტი
19. შეზღუდული შესაძლებლობები და არაადაპტირებული გარემო
20. სეზონი და საკვები პროდუქტები
21. დავები აბონენტებსა და კომპანიებს შორის
22. აბიტურიენტები და გამოცდები უნარ-ჩვევებში
23. კონკურსი "მომავლის მწერალი" და მისი გამარჯვებულები
24. მედიკამენტები რეცეპტით და მის გარეშე
25. რა მიზნით ეწვივნენ თბილისს იტალიელი არქიტექტორები
26. ძალადობა გენდერული ნიშნით
27. საუკეთესოდ აღიარებული განათლების სისტემები და საქართველო
28. საპატიო კონსულები
29. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 1918-1921 წლები
30. დამოუკიდებელი საქართველო
31. 26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა
32. მეწყერსაშიში ზონები საქართველოში
33. პური და მისი ხარისხი
34. მოროშკინა დარბაისელის წინააღმდეგ
35. განათლების საერთაშორისო ცენტრი
36. მედიის გავლენა საზოგადოებრივ აზრზე
37. რა ცვლილებები შევა საპროცესო გარიგების კოდექსში
38. "განათლება წარმატებული მომავლისთვის" - პროექტი პრობაციის სააგენტოში
39. საავტომობილო მოძრაობა თბილისში
40. ემულგატორები

41. 9 მაისი - ერთი დღე ვეტერანებისთვის; როგორ ზრუნავს სახელმწიფო ომის მონაწილეებზე და რა არის მათი
42. 10 მაისს ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანების ვარსკვლავი გაიხსნება
43. პაციენტებსა და ექიმებს შორის არსებული დავები და ურთიერთობის მოწესრიგების მექანიზმები
44. დევნილობა მუდმივი საცხოვრებლის გარეშე
45. საკრებულო ავარიული სახლების გამაგრებას იწყებს
46. პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა
47. სამხატვრო აკადემიის შენობის გადასარჩენად ფონდი შეიქმნა
48. მომსახურების ხარისხი საქართველოში
49. ნარკოლოგიური კლინიკა ნოვატორული მეთოდებით, რომლის ფილეალიც თბილისში იხსნება
50. რუსული პასპორტი - პოლიტიკური მიზნები იურიდიული შედეგით
51. ბინათმშენებლობის სისტემა და მოსახლეობის პრობლემები
52. სწავლისა და სწავლების პრობლემატიკა "სპეციფიკურ" უმაღლეს სასწავლებლებში
53. წიგნის საერთაშორისო დღე
54. წითელი პარასკევი – ყველაზე მძიმე დღე მართლმადიდებლური სამყაროსთვის და მზადება აღდგომის დღესასწაულისთვის
55. უნიკალური ქართული ხელნაწერები
56. სურსათის ხარისხი და მომხმარებელთა უფლებები
57. ადმინისტრაციულ ჯარიმებზე საურავები შემცირდება
58. ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში
59. რა არის ბიონარკოტიკი
60. 53-ე საჯარო სკოლა - გაფიცვა და ჩაშლილი სასწავლო პროცესი
61. 9 აპრილის ტრაგედია - შეფასებები 25 წლის შემდეგ
62. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები
63. 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები
64. ქართული კინო და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ირგვლი ატეხილი აჟიოტაჟი
65. ბავშვთა სახლები და მათი აღსაზრდელები
66. არჩევნები თბილისის ოპერაში
67. დასაქმება ინტერნეტის მეშვეობით
68. დეპრესიის ფორმები და გამომწვევი მიზეზები

II კვარტლის სამედიცინო თემები:

1. "ტოპლესი" - რა საფრთხის შემცველია ამგვარად გარუჯვა
2. B ჰეპატიტი
3. აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო დღე
4. ბავშვთა ინფექციები
5. გაზაფხული და სისხლნაკლებობა

6. გინეკოლოგიური ლაპარასკოპია - დიაგნოსტიკა და ოპერაცია
7. გულის ტკივილი
8. დღენაკლული ბავშვები და მათი პრობლემები
9. ენა და ტუჩები
10. ეპილაცია ქალებისთვის და მამაკაცებისთვის
11. ეჭვი სიმსივნურ დაავადებაზე
12. ვირუსული მენინგიტი
13. ვიტილიგო
14. თავის ტკივილი და მისი მკურნალობის გზები
15. თვალის გენეტიკური დაავადებები
16. იოდის დეფიციტი
17. კანის პარაზიტული დაავადებები
18. კანის სიმშრალე
19. კვერცხი და პასქა მარხვის შემდეგ
20. მეზოთერაპია
21. მელანომა
22. მიოკარდიუმის ინფარქტი და ანტიოქსიდანტები
23. მოზარდი სქესობრივი მომწიფების პერიოდში
24. მწერის ნაკბენი და გადამდები დაავადებები
25. მწვანე ჩაი, მწვანე ყავა - რეალურად სასარგებლო თუ მავნე თვისებები და მათი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე
26. ნაწლავის კიბო
27. ნაწლავის რეზექცია
28. ნევროზი და ასაკი
29. ნეოფობია - სიახლის შიში
30. ნიკრისის ქარი და ცხოვრების წესი
31. ორგანიზმის გადახურება და დამწვრობა
32. ორსულობა სხვადასხვა დაავადების ფონზე
33. პოტენცია, სქესი და ასაკი
34. პროსტატის კიბო
35. რაქიტის გამომწვევი მიზეზები
36. როგორ გავკაჟდეთ ზაფხულში
37. საგაზაფხულო ასთენია
38. სასქესო ჰორმონები და ქალის ტვინი
39. სახიფათო ყვავილობა
40. სეზონი და გულის უკმარისობა
41. სეზონი და სახიფათო საკვები
42. სეზონი და სითხით დატვირთვა
43. სიელმე
44. სისხლის შესქელება და გარემოს ტემპერატურა
45. სტომატოლოგია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის

46. ფილტვის ინფარქტი
47. შარდის ბუშტის დაავადებები
48. შარდკენჭოვანი დაავადება და თირკმლის კოლიკა
49. შაქრიანი დიაბეტი ბავშვებში
50. შაქრიანი დიაბეტის ქირურგიული მკურნალობა
51. ჩვენ და ჩვენი დიაგნოზი - განაჩენი თუ ახალი გამოწვევა
52. ცხოველებთან უსაფრთხო თანაცხოვრება
53. ძილის დარღვევა
54. წამლების ურთიერთქმედება
55. წითელი ხალი თუ ჰემანგიომა
56. ჭინჭრის ციება და კვინკეს შეშუპება
57. ხალების დიაგნოსტიკა
58. ხვრინვა და ძილის დარღვევა

შენიშვნა: პროგრამის ძირითადი ღერძი კი აგებულია აქტუალურ სოციალურ თემატიკაზე. პროექტმა სოციალური მიმართულება სწორედ 2014 წლის პირველი კვარტლიდან აიღო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა პროექტის ზოგადი რეიტინგი.

სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონი“

გადაცემა **„ეტალონი“** გადის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში ყოველ შაბათს (19:00).

გადაცემის ქრონომეტრაჟია 52 წუთი.

ვიქტორინის ტიპის სოციალურ-საგანმანათლებლო შოუ, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები მთელი საქართველოდან (IX-XII კლასი), სტუდენტები და ასევე სხვადასხვა პროფესიის წარმატებული წარმომადგენლები.

„ეტალონი“ საქართველოში შექმნილი და დაპატენტებული საავტორო გადაცემაა, რომელიც ამ ტიპის სხვა პროექტებისგან მონაწილეთა ასაკობრივი დიაპაზონით, შეკითხვების შედგენის სქემით და მონაწილეთა შეფასების ქულათა სისტემით განსხვავდება. თამაშს იწყებს 10 მონაწილე, I ტურში დაისმება 10 შეკითხვა, თითოეულზე 4 სავარაუდო პასუხით, II ტურში გადადის 6 მონაწილე და დაისმება 5 შეკითხვა, ფინალში გადადის 3 მონაწილე, დაისმება 5 შეკითხვა და ფინალისტებს შორის ერთი იმარჯვებს.

რეგიონებიდან მონაწილეთა შერჩევის პროცესი იწყება გადაცემის ჩაწერამდე გაცილებით ადრე, სკოლებში ტარდება შესარჩევი კონკურსები, რომელთა გამარჯვებულებს შორის საბოლოოდ კიდევ ტარდება შესარჩევი კონკურსი და ჩაწერის დღეს რეგიონის სახელით შერჩეული 10 მონაწილე მშობლებთან, გულშემატკივრებთან, პედაგოგებთან, სკოლის დირექტორებთან ერთად ჩამოდიან „ეტალონის“ ჩაწერაზე.

2013-2014 სასწავლო წელს „ეტალონის“ პარტნიორია ისრაელის სახელმწიფო და ისრაელის საელჩოს ინიციატივით, ყოველი თამაშის გამარჯვებულს საჩუქრად ნოუთბუქი გადაეცემა.

5 აპრილი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ : აფხაზეთიდან იძულებით დევნილი ახალგაზრდები

12 აპრილი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები ყვითელი ავტობუსების მძღოლები მეტროს საბაგიროს თანამსრომლები და ასევე საპატიო თბილისელები – თბილისელი ტრანსპორტელები.

19 აპრილი 2014 წელი
წინა სააღდგომო “ეტალონი” ოზურგეთის რაიონის წარმატებულ მოსწავლეებს მიეძღვნათ. საპატიო სტუმრების სტატუსათ ესწრებოდნენ კონსტანტინე შარაშენიძე, ოზურგეთის გამგებელი და ირაკლი ბოლქვაძე კომპანია “ნიკორას” გენერალური დირექტორი.

26 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ : ონის საუკეთესო მოსწავლეები.

3 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: აბაშის რაიონის წარმატებული მოსწავლეები

10 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამსრომლები

17 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: სამტრედიის წარმატებული მოსწავლეები
საპატიო სტუმარი: ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში
იუვალ ფუქსი და მეუღლე სანდრა ფუქსი.

24 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: კომპანია “ნიკორას” წარმომადგენლები

31 მაისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ : ცაგერის საუკეთესო და წარმატებული მოსწავლეები

7 ივნისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: ლანჩხუთის საუკეთესო მოსწავლეები

14 ივნისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ : ყვარლის რაიონის საუკეთესო მოსწავლეები

21 ივნისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: თერჯოლის რაიონის წარმატებული მოსწავლეები

28 ივნისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

5 ივლისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: ზესტაფონის საუკეთესო მოსწავლეები

12 ივლისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ: დაცვის პოლიცია

სტუმრები:
გიორგი ცინცაძე –დაცვის პოლიციეს დეპარტამენტის თავჯდომარის პირველი მოადგილე
გიზო გორდულაძე –- დაცვის პოლიციეს დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსი
მარიამ კობახიძე – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

19 ივლისი 2014 წელი
გადაცემაში მონაწილეობდნენ :ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები
საპატიო სტუმრის სტატუსად ესწრებოდა: ტოშიო კაიტანი - იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მეუღლე ჰარუე კაიტანი

გადაცემა „ჩვენი ეზო“

ყოველკვირეულ სატელევიზიო გადაცემაში საუბარია ეთნიკურად მრავალფეროვან საქართველოში მცხოვრები ეთნოსების განსხვავებული და საერთო ღირებულებების, პრობლემების და წარმატებების შესახებ .

ასევე გადაცემაში წარმოვაჩენთ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უნცირესობების კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას . ვეცნობით მათ ისტორიას, ვიგებთ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა დამსახურების შესახებ ჩვენი ქვეყნის წინაშე.

მიზანი

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო ინტეგრირების ხელშეწყობა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის გრძნობის გაღრმავება.

აღწერა

□□სპეციფიკიდან გამომდინარე გადაცემა მოწოდებულია გამოავლინოს ეთნიკური ჯგუფების პრობლემები, წარმოაჩინოს მათი ისტორია და კულტურა.

□ გადაცემის მთავარი მიზნობრივი ჯგუფი –ქართული საზოგადოება, (რომელსაც გავაცნობთ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, მათ ეთნიკურ და რელიგიურ თავისებურებებს) და რა თქმა უნდა თავად ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები (ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, რასაც ადასტურებს საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა, (ეთნიკურად არაქართველთა) გამოხმაურებები ჩვენს ფბ გვერდებზე, მეილებზე და ა.შ)

□ **ფორმატი**

გადაცემის ფორმატი _ მექანიკური;

- ხანგრძლივობა _26 წუთი;
- პერიოდულობა – ყოველკვირეული;

- გადაცემის ენა ქართული (აუცილებლობის შემთხვევაში, დასაშვებია საუბარი უცხო ენაზე. თარგმანი: სუბტიტრებით)

სულ მეორე კვარტალში ეთერში გავიდა 12 გადაცემა

2.04.2014 დევნილი თეატრები-

ჩვენი ხშირად ვამბობთ, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სფერო, სადაც ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების ადამიანებიც არ შრომობდენ ჩვენი საერთო სამშობლოსთვის.. გადაცემაში მულტიკულტურულ სამყაროზე- თეატრზე ვისაუბრეთ...კონკრეტულად, სოხუმისა და ცხინვალის თეატრებზე, როგორც ყველაზე მრავალეთნიკურ და ყველაზე სევდიანი ისტორიის თეატრალურ დასებზე.....

რესპოდენტები: ზაალ თედიაშვილი-ცხინვალის თეატრის მმართველი ნანა ხურითი,მსახიობი

16.04.2014 საქართველოში მცხოვრები ბოშები

გადაცემაში ვისაუბრეთ ბოშათა ძირითად პრობლემებზე:დოკუმენტაციის, პირადობის დამადასტურებელი, დაბადების მოწმობების არქონაზე და აქედან გამომდინარე, განათლების,პენსიების და სხვა სოციალური დახმარების გარეშე მათ გაუსაძლის ყოფაზე...

რესპოდენტები: გიორგი სორდია- (მომზადებული აქვს კვლევები საქართველოში მცხოვრები ბოშების შესახებ)

ევა ჩელინსკი-უმცირესობის საკითხთა ეროვნული ცენტრის რეგიონალური დირექტორი

მადონა იურენკო-ბოშა-არასამთავრ.ორგ.ხელმძღვანელი.

ვენერა მარტყოფლიშვილი-ბოშების საკითხზე მომუშავე არასამთ .ორგანიზაცია

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი

23.04 2014-ევროვიზია

გადაცემაში მიმოვიხილეთ ყველაზე მრავალეროვანი საერთაშორისო კონკურსის (სადაც ქვეყანა, თავის კულტურულ, სოციალურ გზავნილს აჟღერებს) ჩატარების და მასში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობის მოკლე ისტორია.

რესპოდენტები:ანა ხანჩალიანი, ზაურ ხალილოვი და ინგა დათიკაშვილი მოუწოდებენ, თავიანთი ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებს, ხმა მისცენ საქართველოს.

სხვა რესპოდენტები: თიკო ბერძენიშვილი, ნათია უზნაძე, მარიკო ებრალიძე, ზაზა მიმინოშვილი, დათუნა სულიკაშვილი, ბასა ფოცხიშვილი

30.04201 -კავკასიური ზღაპრები, ეპოსი

რა ხდება ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით, ვინ არიან კავკასიელ ხალხთა ეპოსის მთავარი გმირები, რატომ არის ნაცარქექია დადებითი პერსონაჟი და როგორ იწერება ზღაპარი ქვიშაზე..

გადაცემაში ვისუბრეთ სხვადასხვა ხალხების ზღაპრებზე, ნართების ეპოსზე.. მსგავსებაზე, რაც კავკასიელებს ზოგადად გვახასიათებს და გვაერთიანებს

რესპოდენტები: თამარ უჯუხუ-პროფესორი,კავკასიური სახლის სპეციალისტი, ნაირა ბეპიევი-ფილოლოგი,ეროვნ. უმცირ.რედაქციის „მოამბე“ ოსურ ენაზე-რედაქტორი

სომხური თეატრის მსახიობებმა ჩვენთვის დადგეს წარმოდგენა ო.თუმანიანის ზღაპრის მიხედვით. ელდარ ქავშბაია-მხატვარი, ნონა გიუნაშვილი-მხატვარი

ტრისტან მახაური-ფოლკლორისტი

7.05.2014-ეროვნული კოსტიუმები

ტანსაცმელი-როგორც ერის მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი

ელემენტი. სამოსი,როგორც ეთნოსის ისტორიული მახასიათებელი და თანამედროვე

მაღალი მოდა, რომელიც ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იყურება წარსულისკენ...

რესპოდენტები: ლელა წიწუაშვილი-ეროვნული მუზეუმის ექსპერტ კურატორი სვეტლანა ერიციანი-ანსამბლ“ჯეირანის'' ხელმძღვანელი, ნინო სუხიშვილი „ქართული ბალეტის“ დირექტორი , მადონა სავიდი-ბერძნული ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი.

14.05.2014 ცრურწმენები და რიტუალები

გადაცემაში ვისაუბრეთ სხვადასხვა ეთნოსის რიტუალებზე, ტრადიციებზე.მათ განსხვავებასა და მსგავსებაზე,დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე და ცრურწმენებზე

რესპოდენტები:ემზარ ჯგერენაია-სოციოლოგი, პროფესორი,აიდან იუსუფი-ჟურნალისტი, ლიუბოვ კოპცოვა. ასტროლოგი, ლიანა და სუსანა ოვსესიანები, ლეილა ალიევა აზერბაიჯანის კულტ.ცენტრი სპეციალისტი.

21.05.2014 საიათნოვა

საიათნოვა-აშუღი, რომელიც სამ ენაზე უმღეროდა სიყვარულს და მეგობრობას , რატომ ჰქვია მისი ხსოვნის დღესასწაულს-ვარდატონი და რატომ აღინიშნება ის მაისის ბოლო კვირას. ამ ყველაფრის შესახებ ვისუბრეთ გადაცემაში .

რესპოდენტები: გივი შახნაზარი-ლიტერატორი, ნინა კარაპეტიანი-ჟურნალისტი,

გიორგი მომცემლიძე- 98-ე სკოლის დირექტორი(ამ სკოლაში საიათნოვას მუზეუმია განთავსებული)

28.05.2014 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ბავშვები 1 ივნისთან დაკავშირებით)

გადაცემაში ვისაუბრეთ შშმპ ბავშვებზე, მოვიყვანეთ წარმატებული ადამიანების მაგალითები. ვისაუბრეთ იმაზე , რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები და რა უნდა გააკეთონ უფროსებმა იმისთვის, რომ გარემო ყველასთვის გახდეს შეუზღუდავი.

რესპოდენტები: რუსუდან ბოჭორიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია. სხვადასხვა ეროვნების ბავშვები „დღის ცენტრი“-დან. ეკა დგებუაძე-განათლების სამინისტრო ინკლუზიური განათლება. გიორგი კაკაჩია, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სამსახური, ნინო მეუნარგია ჟურნალისტი, ირმა ხეცურიანი-პარაოლიმპიელი .

4.06.2014-უმაღლესი განათლება-სიახლეები არაქართველ აბიტურიენტთათვის

გადაცემაში ვისაუბრეთ უმაღლესი განათლების სისტემაში არაქართველი აბიტურიენტებისათვის პროგრამა 4+1 ის შესახებ. მისაღებ გამოცდებზე და პროექტის

„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მნიშვნელობაზე.

რესპოდენტები: ივა მინდაძე-შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ნინო პოპიაშვილი-ქართული ენის სპეციალისტი, დოქტორი.

ქამანდარ ისმაილოვი-მარნეულის რესურს-ცენტრის დირექტორი, არაქართველი აბითურიენტები და სტუდენტები

11.06.2014.-იძულებით გადაადგილებული ეთნიკური უმცირესობები

გადაცემაში ვისაუბრეთ , განსხვავებული ოჯახების განსხვავებული ისტორიებზე

რომლებსაც მშობლიურ კუთხეში დაბრუნების იმედი აერთიანებთ .

რესპოდენტები: დავით დარახველიძე-საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი , არინა ბატაევა-დევნილი სამაჩაბლოდან.,

ლალი ავოიანი-დევნილი აფხაზეთიდან

ოლგა მაკაროვა--დევნილი აფხაზეთიდან

18.06.2014 სამცხე-ჯავახეთის ტურისტული მარშრუტები

სამცხე ჯავახეთი - ერთ ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალეროვანი კუთხე. ერთი დღეს უცხოელი ტურისტის ამპლუაში... გზა მწვანე მონასტრიდან რაბათის ციხემდე..

რესპოდენტები: .არტურ სტეპანიანი-ბორჯომის ტურისტული ცენტრის სპეციალისტი, არაქართველი გიდები-რიშა მელნიკოვი, მიხეილ პოსტნიკოვი.,

25.06.2014 საქართველოში მცხოვრები ბერძნები

„იაზონისა და მედეას გადარჩენილი შვილები“, საქართველოში მცხოვრები ბერძნები, ხალხი, რომელმაც მსოფლიოს ისტორია და კულტურა შეცვალა. პონტოელი ბერძნების ორი სამშობლო, გადაცემაში ვისაუბრეთ საქართველოს ბერძენთა თემის საინტერესო , წარმატებულ ადამიანებზე.

რესპოდენტები: .ევგენია კოტანიდი-ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

დიანა ამფიბიადი-მწერალი

ლევან გორდეზიანი-ისტორიკოსი

ორესტი ,ოდისეი დიმიტრიადის შვილი, ლიკა დიმიტრიადი-შვილიშვილი/ირინა ბოჭორიშვილი-დიმიტრიადი.

ვენიამინ კირიადი-ბერძენთა სათვისტომოს თავმჯდ. მოადგილე

როლანდ სტომატოვი-ბერძნული კლინიკის დირექტორი

ვადიმ ანასტასიადი-„ვეჩერნი ტბილისი“, რედაქტორი.

უცნობი მუსიკა

გადაცემის წამყვანები: კახა თოლორდავა და გიორგი ხადური
გადაცემის პროდიუსერი და რეჟისორი: თამარ ციციშვილი
გადაცემის ქრონომეტრაჟი: 1:30 სთ (±5)
გასული გადაცემების რაოდენობა: 9 გადაცემა

3 აპრილი (1 სთ. 35 წთ)
გადაცემის თემა: ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი ჯაზმენის -პაპუნა შარიქაძის შემოქმედება. გადაცემის სტუმარია თავად პაპუნა შარიქაძე. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია პაპუნა შარიქაძისა და მისი ბენდების (ტრიო; კვინტეტი) მუსიკალურ ნომრები.

10 აპრილი (1 სთ. 27 წთ)
გადაცემის თემა: იგორ სტრავინსკის შემოქმედება. წამყვანები სტუმართან -კომპოზიტორ და დირიჟორ ვახტანგ კახიძესთან ერთად, საუბრობენ იგორ სტრავინსკის შემოქმედებაზე. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია 1965 წელს ჩაწერილი იგრო სტრავინსკის სიმფონია „ფასკუნჯი“ - თავად იგორ სტრავინსკის დირიჟორობითა და ლონდონის ახალი ფილარომონიის ორკსეტრის შესრულებით.

17 აპრილი (1 სთ. 26 წთ)
გადაცემა წარმოადგენდა წინა გადაცემის გაგრძელებას და შესაბამისად გადაცემის თემაა იგორ სტრავინსკის შემოქმედება. გადაცემის სტუმარი ამჯერადაც კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტნაგ კახიძეა. გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია იგორ სტრავინსკის სიმფონია „კურთხეული გაზაფხული“ ვახტანგ კახიძის დირიჟორობითა და თბილისის სიმფონიური ორკსეტრის შესრულებით.

24 აპრილი (1 სთ 30 წთ)

გადაცემის თემა: პროგრესული როკი. გადაცემის წამყვანი გია ხადური და მუსიკოსები - მიშა ციხელაშვილი და სანდრო ცქიტიშვილი, პროეგრესული როკის ცნობილი წარმომადგენელის, ბრიტანელი მუსიკოსის, სტივენ უილსონის შემოქმედებაზე საუბრობენ. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია სტივენ უილსონის მიერ, 2012 წელს მექსიკაში ჩატარებული ლაივ კონცერტისა და 2013 წელს ფრანკუფურტში გამართული ლაივ კონცერტის მუსიკალური კოლაჟი.

1 მაისი (1 სთ. 27 წთ)

გადაცემის თემა: საბჭოთა რეპრესირებული მუსიკა (ციკლის მეორე ნაწილი). წამყვანები კახა თოლორდავა და გია ხადური, სტუმართან, კომპოზიტორ - არჩილ გიორგობიანთან ერთად ორ დიდი საბჭოთა პერიოდის კომპოზიტორზე - სერგეი პროკოფიევსა და დიმიტრი შოსტაკოვიჩზე საუბრობენ . გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია დიმიტრი შოსტაკოვიჩის N4 სიმფონიიის მე-3 ნაწილი გენადი როჟდესტვენსკის დირიჟორობითა და BBC-ის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.

15 მაისი (1 სთ. 30 წთ)

გადაცემის თემა: გასული საუკუნის 70-იანი წლების უნიკალური მუსიკალურ-აკუსტიკური წარმოდგენა „ეინშტეინი სანაპიროზე“. წამყვანები საუბრობენ თუ როგორ იდგმებოდა ფილიპ გლასისა და რობერტ უილსონის ეს მონუმენტური ოპერა. გადაცემის მეორე ნაწილში კი ნაჩვენებია 2014 წელს, პარიზში, თეატრ „შატლეში“ წარმოდგენილი „ეინშტეინი სანაპიროზე“ (კოლაჟის სახით).

22 მაისი (1 სთ. 35 წთ)

გადაცემის თემა: ქართული ჯაზის ისტორია. წამყვანები სტუმართან, მწერალ- ზურაბ ქარუმიძესთან ერთად საუბრობენ თუ როდის და სად იღებს სათავეს ქართული ჯაზის ისტორია და როგორ ვითარდება ის დღეს. გადაცემის მეორე ნაწილში კი, ახალგაზრდა ჯაზ შემსრულებელზე - ბექა გოჩიაშვილზე, 2007 წელს საულკრასტის ჯაზფესტივალზე გადაღებული დოკუმენტირ ფილმია წარმოდგენილი.

29 მაისი (1სთ. 35 წთ)

გადაცემის თემა: საბჭოთა რეპრესირებული მუსიკა (ციკლის მესამე ნაწილი). წამყვანები კომპოზიტორ - არჩილ გიორგობიანთან ერთად განიხილავენ საბჭოთა პერიოდის კომპოზიტორების -ალფრედ შნიტკეს, სოფია გუბაიდულინასა და ედისონ დენისოვის შემოქმედებას. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ალფრედ შნიტკეს ნაწარმოები „Concerto Gross N2“, ვლადიმერ ფედოსეევის დირიჟორობითა და ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.

5 ივნისი (1 სთ. 26 წთ)

გადაცემის თემაა ჯაზ მუსიკოსის, კომპოზიტორის, ინსტრუმენტალისტისა და იმრპოვიზატორის იშმაელ უოდადა ლეო სმითის შემოქმედება. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია რეჟისორ ჟაკ გოლდსტეინის მიერ მასზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი - „ოქროს კვარტეტი“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

- **მედიაპარტნიორობა**

ჩვენ ვირჩევთ ევროპას

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია 13 აპრილს ევროპის მოედანზე გამართულ საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდამჭერ აქცია-კონცერტს- „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.

ევროპის იმუნიზაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედია მხარდაჭერით 2014 წლის 22-26 აპრილს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ევროპის იმუნიზაციის კვირეული გამოცხადდა.

აღდგომიდან ამაღლებამდე

საზოგადოებრივი მაუწყებელი ტრადიციულად მედიაპარტნიორობას უწევს ყოველწლიურ საერთაშორისო, საქველმოქმედო ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“.

ბელისიმო

საინფორმაციაო მხარდაჭერა გაეწია 5,6 და 7 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მეორე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს.

„იერუსალიმის კამერეტა“

9 ივნისს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზოგადოებრივი მაუწყებლის მედია მხარდაჭერით ისრაელის კამერული ორკესტრის „იერუსალიმის კამერეტა“ კონცერტი გაიმართა.

წყალბურთი

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საფინალო ეტაპის საგზური მოიპოვა, ამასთან დაკავშირებით, წყალბურთის პოპულარიზაციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისთვის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთერში განათავსა წყალბურთის სოციალური ვიდეო რგოლი.

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდაჭერა გაუწია საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციის და რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის მიერ გამართულ საქართველოს ჩემპიონატს წრიულ რბოლაში.

კულტურათა დიალოგი XXI-არგო 2014 ლეგენდის გაცოცხლება

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპარტნიორობით 29 ივნისიდან 5 ივლისამდე საერთაშორისო კონფერენცია „არგო 2014 ლეგენდის გაცოცხლება“ გაიმართა. ამ პერიოდის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა ისტორიკოსი და მკვლევარი ტიმ სევერინი, ყოფილ 8 არგონავტთან ერთად.

მედიაპარტნიორობის ფარგლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სააქტო დარბაზში მოეწყო პრესკონფერენცია, სადაც მედიის ყველა წარმომადგენელს ჰქონდა საშაულება კითხვები დაესვათ ტიმ სევერინისთვის, არგონავტებისთვის და კონფერენციის ორგანიზატორებისთვის.

რკინის თეატრი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია „რკინის თეატრის“ გახსნას.

- **სხვა ღონისძიებები**

ვებ გვერდები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო პროდუქტებიდან(საინფორმაციო გამოშვება, თოქშოუები და ა.შ) ამონარიდების გავრცელების უფლება მიეცა შპს „ნიუსრუმის“, შპს „რეიტინგის“ და შპს „კვირის პალიტრის“ მფლობელობაში არსებულ ვებ გვერდებსწყაროსა და ლოგოს მითითებით.

Infoletters-ის გათამაშება

საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა პორტალInfoletters-ზე გათამაშდა 2014 წლის მსოფლიო ჩეპიონატის პრიზები. გარგა ამისა პორტალზე თავსებოდა მედიისთვის და მედიაზე გავრცელებული საინტერესო და საჭირო ინფორმაცია.

Facebook-ის გათამაშება

2014 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში პირველი არხის Facebook-ზეყოველდღიურად რამდენიმე გათამაშება ტარდებოდა. იდებოდა საკონკურსო კითხვა და სწორი პასუხის პირველ ავტორს სხვადასხვა საჩუქრები გადაეცემოდა. გათამაშდა უამრავი ბურთი და მაისური.

მედია მარკეტინგის ტრენინგი

საზოგადოებრივი მაუწყებლის საოზგადოებასთან ურთიერთობისსამსახურის ორგანიზებით თანამშრომლების ნაწილმა GIPA-ში გაირა მედია მარკეტინგის კურსი.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ორგანიზებით დაიბეჭდა ფეხბურთის 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრენდირებული ატრიბუტიკა (მაისურები, ჩანთები, კეპები, კალენდრები, ჭიქები, დროშები, საწერი კალმები, სტიკერი და ბანერი).ასევე დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია 12 ივნისს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიას და საზოგადოებრივი მაუწყებლის ფან კლუბის ჩართვებს კუს ტბიდან.სულ ორგანიზება გაეწია 5 ჩართვას.

დებატები 2014

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 9 ივნისს 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების თბილისის მერობის კანდიდატებს შორის გამართული დებატების ორგანიზებაში.

ბანერები/კონვერტები

თვითმმართველობის არჩვნებთან დაკავშირებით საინფორმაციო პროგრამაისთვის „მოამბე“ დაიბეჭდა ბანერები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მედიაცენტრში განსათავსებლად.

ასევე დაიბეჭდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოგოთი დაბრენდილი ევროკონვერტები.

ბურთი

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ორგანიზებით საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაზე განთავსდა სარეკლამო ბურთი (ფიფას 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სარეკლამო ბანერი).

სარეკლამო ბურთის საზეიმო გახსნა 23 მაისს გაიმართა და მოამბის 20:00-საათიანი გამოშვებისპირდაპირეთერშიგადაიცა.

ექსკურსები საზოგადოებრივ მაუწყებელში

მაუწყებელს მუდმივად უკავშირდებიან ექსკურსიაზე მოსვლის მსურველები. 20 მაისს ფინელი სტუდნებტები ეწვივნენ საზოგადოებრივ მაუწყებელს.

დიოგენე

კომპანია „დიოგენემ“ საზოგადოებრივ მაუწყებელს შესთავაზა კორპორატიული ფასდაკლების პაკეტი. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ორგანიზება გაუწია შეკვეთის გაკეთებას, ადგილზე მოტანას და თანამშრომლებისთვის სასურველი წიგნების გადაცემას.

მასობრივი სპორტის ფედერაცია

მასობრივი სპორტის ფედერაცია ყოველ წელს ატარებს ტურნირს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით მაუწყებლის თანამშრომლები ტრადიციულად იღებენ მონაწილეობას სპორტის რამდენიმე სახეობაში.

ზაზა დარასელის თასი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ზაზა დარასელის სახელობის საფეხბურთო ტურნის მახრდაჭერა გაუწია, უზრუნველყო დარბაზის ქირაოდა გა გამარჯვებულებს გადასცა პრიზები.

- **წერილები და მოქალაქეებთან შეხვედრა**

1. 2014 წლის აპრილიდან-ივნისის ჩათვლით ტელევიზიასთან რამდენიმე მრავალრიცხოვანი აქცია გაიმართა.
2. ემიგრაციიდან დაბრუნებული ადამიანები უყურადღებობაში და თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებენ შესაბამის სამსახურებს. 2 ივნისს- „რეალურ სივრცეში“-განიხილეს აღნიშნული პრობლემები.

3. სოციალურად დაუცველი ადამიანების აქცია.
   სოციალურად დაუცველ ადამიანებს კუთვნილი დახმარება აბსურდული მიზეზებით მოუხსნეს (აქციის მონაწილეები სოციალურ მუშაკებს ადანაშაულებდნენ, განსაკუთრებით რეგიონებში) ისინი მოითხოვდნენ საარსებო მინიმუმის თანაბარი თანხის დანიშვნას. სოციალური თემატიკით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა აღნიშნული პრობლემა რამდენჯერმე გააშუქეს საინფორმაციო გამოშვებაში და მეორე არხის გადაცემაში „არგუმენტების დრო“.
4. იპოთეკით დაზარალებულების აქცია. მაისში ტელევიზიასთან რამდენიმე მრავალრიცხოვანი აქცია გაიმართეს. შეკრებილები ჟურნალისტურ გამოძიებას მოითხოვდნენ. 30 მაისს გადაცემაში- „რეალური სივრცე“ აღნიშნული თემა განიხილეს.

- **პრესა**

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.
საზოგადოებრივ მაუწყებელში და სატელევიზიო მედიაში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა პრესასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2014 წლის -აპრილი, მაისი, ივნისის-განმავლობაში ბიბლიოფონდში დაცული ჩანაწერების საშუალებით, მაუწყებლის ონლაინ მუზეუმისთვის მომზადდა მასალები-საქართველოს რადიოს ლიტერატურული გადაცემების ციკლზე- „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისთვის“ (1979 წელი).

აპრილიდან-ივნისის ჩათლით შემოსული წერილების ძირითადი თემები:

1. სადაზღვევო კომპანიების მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევა.
2. სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად მატერიალური დახმარების გაწევის თხოვნა. მორბენალი სტრიქონის საშუალებით 30 თხოვნა განთავსდა პირველი და მეორე არხის ეთერში.
3. სახელმწიფოს მიერ დევნილებისთვის გადასაცემი ბინების კორუფციული გარიგებებით გაყიდვა.
4. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა.

საერთაშორისო ურთიერთობები:

- **ევროვიზია 2014**

  დაიგეგმა ინტერვიუები და განხორციელდა ოფიციალური მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე საერთაშორისო მასშტაბით.
- **მონაწილოება შეხვედრაზე „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“**

  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო როგორც წარმომადგენლის, ასევე ჟურნალისტის და ოპერატორის გაგზავნა შვეიცარიაში ქ. ჟენევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.
- **მოლდოვის მაუწყებელთან თანამშრომლობა**

ა/წლის 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელსა და მოლდოვის მაუწყებელს შორის შედგა თანამშრომლობა - კერძოდ ვიდეო მასალის გაცვლა.

- **ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) გენერალური ასამბლეა**
  საზოგადოებრივიმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე.
- **ევროპის მაუწყებელთა კავშირისკვლევა**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირს კვლევის ფარგლებში მიაწოდა ყველა მოთხოვნილი მონაცემი.
- **თანამშრომლობა ბულგარეთის საელჩოსთან**
  ბულგარეთის საელჩოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა ჟურნალისტის და ოპერატორის მივლინება ბულგარეთში სხვადასხვა თემებზე სიუჟეტების მოსამზადებლად.
- **CIRCOM-ის კვლევა**
  CIRCOM-ის კვლევის ფარგლებში მიწოდებულ იქნა ყველამოთხოვნილი მონაცემები.
- **ლატვიის საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიზიტი**
  ლატვიის და საქართველოს საზოგადოებრივმაუწყებლებს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც წარმომადგენლებმა ერთმანეთს ინფორმაცია და გამოცდილება გაუზიარეს.
- **EBU-ს სემინარი საინფორმაციო სამსახურის უფროსებისთვის**
  ორგანიზება გაეწია საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის მონაწილეობას და მივლინებას შვეიცარიაში დაგეგმილ შეხვედრაზე.
- **PH International**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო PH International -ის დაგეგმილ დასკვნით სემინარზე.
- **ამერიკის ხმა**
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება ამერიკის ხმასთან მოამბეში 10 წუთიანი ბლოკის დათმობასთან დაკავშირებით.
- **უკრაინის ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნა**
  საზოგადოებრივი მაუწყებელი ევროპის საბჭოს მიერ მიწვეულ იქნა 1-2 ივლისს დაგეგმილ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად უკრაინაში ქ. კიევში.
- **აკრედიტაციები**
  გადამღები ჯგუფებისთვის მომზადდა და გაიგზავნა დოკუმენტაცია სხვადასხვა ორგანიზაციაში აკრედიტაციის მისაღებად.
- **Prix CIRCOM 2014**
  საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ მომზადებული ფილმი „მე პატარა ქართველი ვარ“ (რეჟისორი ლევან ადამია) ევროპის რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის 2014 წლის დაჯილდოების რჩეულ დოკუმენტურ ნამუშევრად დასახელდა.
- ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური კონტაქტი სხვადსხვა საკითხებზე.

იურიდიული სამსახური

1. ხელშეკრულებების შესახებ

2014 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 305 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო და სხვ.).

2. სასამართლოში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

2014 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	ნატალი სისვაძე	სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემაზე "პილოტი" საავტორო უფლებების აღიარება და 260 000 ლარის ანაზღაურება საავტორო უფლებების ხელყოფისათვის	**_ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა** _ ნ. სისვაძის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად **საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს** **_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. სისვაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:** ა) აღიარებული იქნა ნ. სისვაძის საავტორო უფლებები გადაცემა პილოტზე ბ) სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" აეკრძალა ნ. სისვაძის თანხმობის გარეშე გადაცემის "პილოტი" გამოყენება და გ) ნ. სისვაძის სასარგებლოდ სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა 15 000 ლარის გადახდა _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ნ. სისვაძის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით **_ უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრები მიღებულია წარმოებაში.** **_ ამჟამად, რაც უზენაესი სასამართლო იხილავს საკითხს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შესახებ**
2	ფიქრია მიქაბერიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და სამუშაოზე აღდგენა	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად** _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით **_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი** _ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

			_ ამჟამად, საქმე იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში, რომელიც განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ
3	ვაჟა კიკნაძე დავით მერკვილაძე გიორგი ქავთარაძე მალხაზ დუმბაძე	2012 წლის საგრანტო ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, მიუღებელი შემოსავლების სახით მატერიალური ზიანის ანაზღაურება 51 600 ლარის ოდენობით	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად** **_ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული** _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით **_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად დაუშვებლობის გამო.** შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა: ა) 51 600 ლარის გადახდა; ბ) სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1 548 ლარის ოდენობით; გ) მოსარჩელეების მიერ წარმომადგენლის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების - 1 940 ლარის ანაზღაურება
4	შპს "ახალი მზერა"	ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების გამო, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 4 320 ლარის დაკისრება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა** _ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შპს "ახალმა მზერამ" გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით

2.2

2014 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	შპს "ტელეკომპანია პიკ"	1. ა) მატერიალური ზიანის სახით 137 237,35 ლარის დაკისრება; ბ) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის საიჯარო დავალიანების და პირგასამტეხლოს ანაზღაურება 2. შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა სასამართლოში აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სსიპ	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:** • გაიქვითა სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" და შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს შორის არსებული მოთხოვნები და ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 73 766,80 ლარის ოდენობით • შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 448,92 ლარის და 92 032,24 ლარის გადახდა • შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 310 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად • სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შპს "ტელეკომპანია პიკ"-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 905 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად _ როგორც ჩვენთვის ცნობილია, შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა

		"საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 63 470,55 ლარის დაკისრება	სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით
2	შპს "მვპ"	საიჯარო დავალიანების სახით 25 028,24 ლარის დაკისრება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- **საქმის წარმოება დასრულდა მორიგებით.** **_ შპს "მვპ" ვალდებულია მაუწყებელს აუნაზღაუროს 28 025,86 ლარი და 150 ლარი არაუგვიანეს 2014 წლის 16 აგვისტომდე**
3	შპს "ნონეიმ სტუდიო"	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 37 356 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**
4	შპს "კიკალა სტუდიო ტვ"	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 27 502,07 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**
5	შპს "ტელე-რადიო კომპანია ტვ-7"	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 14 446,86 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**
6	შპს "აი ბი გრუპ"	საიჯარო ქირის დავალიანების და ზიანის ანაზღაურების სასხით 7 925,46 ლარის და 3 186,90 ლარის დაკისრება, ზიანის ანაზღაურების დაკისრება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**
7	შპს "ნ და გ კომპანი"	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 10 144,75 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**
8	შპს "S.T. იმპორტი"	სასპონსორო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 4 500 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) გადახდა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში.
9	შპს "E&S Dent"	სასპონსორო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 4 600 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის	- სარჩელი მიღებულია სასამართლოს წარმოებაში **_ სასამართლოს განჩინებით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფაზე, კერძოდ, მოპასუხის ფულად ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე.** **_ სასამართლოს განჩინებაზე ა/წ 8 მაისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ შეტანილი იქნა საჩივარი, რომელიც**

		პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**გადაგზავნილია სააპელაციო სასამართლოში**
10	შპს "აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი"	სასპონსორო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 3 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) გადახდა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში.
11	შპს "მილ პოინტი"	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 8 637,66 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონიერ ძალაში შესული**

- გარდა ამისა, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები მოვალეების: **შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს**; **შპს "ფენიქსის"**; **შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს** და **შპს "ლაივ პრომო"-ს** მიმართ.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2014 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 13 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 5 განცხადება, 5 განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხოლო, 3 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2014 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2014 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში, კერძოდ, 2014 წლის 24 აპრილს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირმა, იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლიაციის პროცესში გაკეთებული კომენტარებისას, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან "მაუწყებლობის შესახებ" კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევების შესახებ.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების და ფიზიკური პირის მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოში.

სამეურვეო საბჭოს სხდომა გაიმართება 2014 წლის 14 ივლისს.

5. სხვა საკითხების შესახებ

გარდა ზემოაღნიშნულისა, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს წერილებს, შესაბამის აქტებს და მათ პროექტებს (სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს და ა.შ.).

მარკეტინგის სამსახური

1. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება "people meters"-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

2. გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მინზნობრივი ჯგუფების მიხედვით.

3. მიმდინარეობს მუშაობა 1 არხის ახალი სეზონისთვის:
- მიმდინარეობს არსებული გადაცემების მონიტორინგი, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, რათა შევძლოთ თითოეული პროექტის დახვეწა და მაქსიმალური შედეგის მიღწევა
- სერიალების შერჩევა დღის და ღამის ზოლისთვის

4. მომზადდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მარკეტინგული სტრატეგიის კონცეფცია; პროგრამირების, შეფუთვის, არხის და ტელეპროექტების ცნობადობის გაზრდის მეთოდები და განხორციელების გზები, ბადის ანალიზი და რეკომენდაციები

5. მომზადდა პირველი არხისა და კონკურენტი არხების შედარებითი ანალიზი ბადის პროგრამირებისათვის. მიმდინარეობს მუშაობა ბადეში გადაცემების განთავსების ეფექტური დროების დასადგენად.

6. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის მანძილზე პირველმა არხმა თავის მაყურებელს შესთავაზა საფეხბურთო ვიქტორინა. ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებზე ტელემაყურებლები პასუხებს გზავნიან სმს-ების საშუალებით. მარკეტინგის სამსახური უზრუნველყოფს შემოსული სმს-ების დამუშავებას, გამოყოფს გამარჯვებულებს და ქმნის ბაზას, რომლის მიხედვითაც გამოვლინდება ვიქტორინის გამარჯვებული.

7. ყველა საერთაშორისო პროექტზე სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულობს ყველა საერთაშორისო პროექტების ჩვენების შემდეგ გავგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები - ევროვიზია, სპორტული ღონისძიებები, (ჩემპიონთა ლიგა, ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში)

8. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნი, მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო აუდიტორიის შესახებ, აუდიტორიის ცალკეული კატეგორიების, სატელევიზიო არხების და სხვა პარამეტრების მიხედვით

სარეკლამო სამსახური

აპრილი 2014

- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- გავყიდეთ ფიფა 2014 ფარგლებში სასპონსორო და სარეკლამო მომსახურეობები;
- მოვამზადეთ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების რეგულაცია, ტარიფები.
- ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია, ყოველკვირეულად ეგზავნებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.
- მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში არხის აქტივობებისთვის მოვიძიეთ პარტნიორები(ფიფას 3დ ბანერი);
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ, პოლიტიკურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

მაისი 2014

- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- გავყიდეთ ფიფა 2014 ფარგლებში სასპონსორო, სარეკლამო მომსახურეობები, მოვიძიეთ პრიზები სპორტული ვიქტორინისთვის, არხის აქტივობებისთვის მოვიძიეთ პარტნიორები;
- ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია, ყოველკვირეულად ეგზავნებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ, პოლიტიკურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

ივნისი 2014

- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- გავყიდეთ ფიფა 2014 ფარგლებში სარეკლამო მომსახურეობები, არხის აქტივობებისთვის ხელშეკრულებები გავაფორმეთ პარტნიორებთან;
- მომზადდა ფიფა 2014-ის განთავსების ბადე და მომსახურეობა გაეწია სასპონსორო და სარეკლამო განთავსებებს.

- ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია, ყოველკვირეულად ეგზავნებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ, პოლიტიკურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

აპრილი

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სს media Partners	2400,00	
ააიპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	1000,00	
შპს `რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი``	500,00	
შპს `კვირის პალიტრა``	600,00	
ააიპ `საქართ. კალათბურთის ეროვნ. ფედერაცია	2000,00	
შპს ``ჯი-ემ-თი მთაწმინდა``		1000,00
შპს `ფი 2``		240,00
შპს ``თბილისის პარკი``		1000,00
შპს მეგაკო თრეიდი		42,40
შპს ``ოლტურს		1980,00
ააიპ``საქართ. მხიარული სტარტების ფედერაცია		4375,00
შპს``გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი``		50,00
შპს ``მი-ფა-სი``		500,00
A.M. Art Production		500,00
შპს ``სტრომოსი``		500,00
შპს ეტალონი მედია		15000,00
ჯამი:	**6 500,00**	**25187,40**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში	1180,00	
შპს ჰიუნდაი ავტო საქართველო	430,00	
შპს``ვერსტა``	2200,00	
შპს ``სი-თი-ი``	2700,00	
შპს``გალდი``	800,00	
შპს ``კია მოტორსი``	4000,00	
შპს ``მოტოსტარი``	1150,00	
შპს Georgian Water&Company	500,00	
შპს ``მედია 10``		1200,00
შპს ``ეტალონი მედია``		7 500,00
შპს``კრეატორი``		1200,00
შპს``კრეატორი``		1020,00
შპს ``ზუმერჯორჯია``		2500,00
შპს ``კრეატორი``		1800,00

ჯამი:	12 960,00	15 220,00

რადიო განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში დღგ-ს გარეშე	თანხა ლარში
შპს ``ფრაინ თრი``		1500,00
შპს ``თიბისი ბანკი``		800,00
აიპ საქ. არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი	250,00	
ჯამი:	250,00	2300,00

მაისი

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
სს media Partners	2400,00	
ააიპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	1500,00	
შპს `კვირის პალიტრა``	600,00	
ააიპ `საქართ. კალათბურთის ეროვნ. ფედერაცია	4000,00	
შპს ``ჯი-ემ-თი მთაწმინდა``		1000,00
შპს `ფი 2``		160,00
შპს ``თბილისის პარკი``		1000,00
შპს``დინ სტუდიო``		80,00
შპს მეგაკო თრეიდი		25,00
ი/მ მანანა მანია		1000,00
შპს ``ოლტურს		1980,00
ააიპ``საქართ. მხიარული სტარტების ფედერაცია		13125,00
შპს``გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი``		50,00
შპს ``მი-ფა-სი``		500,00
A.M. Art Production		500,00
შპს ``სტრომოსი``		500,00
შპს ეტალონი მედია		15000,00
ჯამი:	8 500,00	34 870,00

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში	1180,00	
შპს ჰიუნდაი ავტო საქართველო	420,00	
შპს``ვერსტა``	2 600,00	
შპს ``კია მოტორს ჯორჯია``	2 030,00	

შპს``გალდი``	1600,00	
სს ``თიბისი ბანკი``	300,00	
შპს ``მოტოსტარი``	1500,00	
შპს Georgian Water&Company	3 000,00	
მსოფლიო ბანკის წევმომადგ საქართველოში	**2100,00 დღგ-ს გარეშე**	
შპს ``მედია 10``		1100,00
შპს ``ეტალონი მედია``		7 500,00
შპს ``ზუმერჯორჯია``		2500,00
შპს ``კრეატორი``		1800,00
ჯამი:	**12 630,00**	**12 900,00**

რადიო განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში დღგ-ს გარეშე**	**თანხა ლარში**
შპს ``ფრაინ თრი``		1500,00
შპს ``თიბისი ბანკი``		800,00
აიპ ``გენდერული თანასწორობის ქსელი``	100,00	
ჯამი:	**100,00**	**2300,00**

ივნისი

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სს media Partners	2 400,00	
შპს ``ამირანი``	3 370,00	
შპს ``კინოთეატრი რუსთაველი``	5 055,00	
ააიპ `საქართველოს რაგბის კავშირი	1 500,00	
შპს ``ჯი-ემ-თი მთაწმინდა``		1000,00
შპს `ფი 2``		80,00
შპს ``თბილისის პარკი``		1000,00
ააიპ ``საქრთველოს საავტ. სპორტ.ფედერაცია``		800,00
ააიპ``საქართველოს საზ.საქმეთა ინსტიტუტი``		9 000,00
შპს ``სტერეო+``		5 900,00
შპს ``იესჯი``		980,00
შპს `გეო იმპექსი``		13 902,00
შპს ``dro Group``		3 000,00
შპს მეგაკო თრეიდი		89,80,00
ი/მ მანანა მანია		1000,00
ააიპ``საქართ. მხიარული სტარტების ფედერაცია		13125,00
შპს ``მი-ფა-სი``		500,00
შპს ეტალონი მედია		15000,00

ჯამი:	12 325,00	65 376,80

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში	1180,00	
შპს ``მოტორსტარი``	350,00	
შპს``გეო იმპექსი``	700,00	
შპს `სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი``	1000,00	
შპს``გალდი``	1600,00	
შპს ``ვასაძის პური``	1200,00	
შპს ``ბეიბილაინი``	1 533,33	
შპს Georgian Water&Company	1500,00	
შპს ``სპოტმედია``	9 000,00	
შპს ``მედია 10``	7582,50	
შპს ``კრეატორი``	78 770,00	
შპს ``კრეატორი``	5 667,00	
შპს ``ვერსტა``	12 750,00	
შპს ``საჩი და საჩი``	9 900,00	
შპს ``კომპანია ალბატროსი``	8 425,00	
შპს ``მოტორსტარი``	12 000,00	
შპს ``კურორტი საირმე``	1 700,00	
შპს ``ოლტურს``	1 700,00	
შპს ``თბილისი ივენთ ჰოლი``	12 750,00	
შპს ``პროესკო``	14 167,00	
შპს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო``	3 400,00	
შპს ``კომში``	29 970,00	
შპს ``ჰავას მედია ჯორჯია``	47 790,00	
შპს ``პრომედია``	26 609,00	
შპს ``ედთაიმი``	76 985,65	
შპს ``უმ ჯორჯია``	2 400,00	
შპს `` ბეთერფლაი``	7200,00	
შპს ``ფრიმედია``	94 186,00	
შპს ``ფრიმედია``	10 687,00	
შპს ``ფრიმედია``	13 905,00	
შპს ``პრაიმ თაიმი``	70 176,00	
შპს ``პრომედია``	970,00	
შპს ``ბეთერფლაი``	139 535,00	
შპს ``მედია საკონსულტაციო ჯგუფი``	7 875,00	
შპს ``თიბისი-ტვ``	2 000,00	
შპს ``კომპანია ალბატროსი``	3 000,00	
შპს ``ბეთერფლაი``	969,25	

შპს ``ჩემპიონები 111``	7 000,00	
შპს ``კრეატორი``		1 800,00
შპს ``ეტალონი მედია``		7 500,00
შპს თბილ. საოგად. კოლეჯი``გარანტი``		1 400,00
სახალხო პარტია		2 324,00
ჯამი:	**728 133,23**	**13 024,00**

რადიო განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში დღგ-ს გარეშე**	**თანხა ლარში**
შპს ``ფრაინ თრი``		1500,00
შპს ``თიბისი ბანკი``		800,00
ააიპ ფილიალი``პენალ რეფ. ინტერ.თბილ ქვ.ფისი``	100,00	
ააიპ ``საქ. არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი``	250,00	
ააიპ ``კონსტიტუციის 42-ე მუხლი``		**400,00 დღგ-ს გარეშე**
ჯამი:	**350,00**	**2300,00**

არქივის სამსახური

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული დასისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, მიმდინარე (ახალი), ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინოფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) **სულ: 567 ჩანაწერი-740 სთზე მეტი.**

ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, **693 – სთ**-ზე მეტი ქრონომეტრაჟის ვიდეო მასალები.

არქივი აგრძელებს აუდიო, ვიდეო, კინო და ფოტო მასალების მოზიდვას კერძო პირებისა და ყოფილი თანამშრომლებისაგან. მოზიდულია **15 სთ** ქრონომეტრაჟის საარქივო ვიდეო მასალები.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება;

დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი- 16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM

მატარებელზე, გადატანილია **36** ერთეული **(58** ნაწილი), **13:20** სთ. მასალა; 60-70-იანი წლების ისტორიული მასალები და პიროვნებები. სცენები თეატრალური და სატელევიზიო სპექტაკლებიდან გრძელდება (ყოფ. ტელეფილმების შენობაში გამოვლენილი) 70- 80-იანი წლების, სპეციალურად საქართველოს ტელევიზიის გადაცემებისათვის დამზადებული, უნიკალური ფოტო-სლაიდების და ფოტონეგატივების დამუშავება;

აუდიოფონდში ცნობილი ტექნიკური მიზეზების გამო ნელი ტემპით მიმდინარეობს ძველი მასალების ციფრულ ფორმატში გადატანა.

არსებული საშუალებით გადაწერილია **11 GB** უნიკალური ფირები;

მიმდინარეობს კატალოგის აღდგენა და მიბმა ახლადგადაწერილ მასალაზე;

მიმდინარეობს გეგმიური საეთერო მასალების დამუშავება;

ხორციელდება მასალების გადაწერა შიდა და გარე დაკვეთების მიხედვით.

კანცელარია

<u>აპრილი</u>

კანცელარიაში 2014 წლის აპრილის თვეში:

1. რეგისტრირებულია **386** წერილი, აქედან:
   - **182** მოხსენებითი ბარათი;
   - **77** გასული წერილი, აქედან:

   გენ. დირექტორის სახელით - **48**;
   ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **6**;
   ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 7;**
   გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის სახელით- **11**;
   საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**2** ;
   დაგეგმვის და განვითარების საბჭოს ხელმძღვანელის სახელით - **1;**
   ტექნიკის და მომსახურების დეპარტამენტის უფროსის სახელით **- 1;**
   სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელით - **1;**

   - **127** შემოსული წერილი, აქედან:

   სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **108**;
   მოქალაქის - **19**;
2. მომზადდა **103** ბრძანება, აქედან:
   - **81** - მივლინების ბრძანება (შეძენილია **17** ავიაბილეთი, **9** მატარებლის ბილეთი, დაიჯავშნა სასტუმროს **92** ნომერი);
   - **22** - საერთო ხასიათის ბრძანება;
3. გაიცა:
   - **2** საარქივო ცნობა (ყოფილ თანამშრომლებზე);
   - **2** პირადი საქმე (იურიდიული სამსახურისთვის);

4. დაშვებულ იქნა **276** სტუმრის საშვი.

<u>მაისი</u>

კანცელარიაში 2014 წლის მაისის თვეში:

1. რეგისტრირებულია **478** წერილი, აქედან:

   - **253** მოხსენებითი ბარათი;
   - **94** გასული წერილი, აქედან;
     გენ. დირექტორის სახელით - **70**;
     გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის სახელით- **3**;
     ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **7**;
     ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 9;**

ტელემაუწყებლობის დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **1;**
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**2** ;
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელით - **2;**

- **131** შემოსული წერილი, აქედან:
  საქართველოს პრეზიდენტისგან **- 1;**
  სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **112**;
  მოქალაქის - **18**;

2. მომზადდა **133** ბრძანება, აქედან:
   - **107** - მივლინების ბრძანება (შეძენილია **20** ავიაბილეთი, დაიჯავშნა სასტუმროს **115** ნომერი, **2** მატარებლის ბილეთი);
   - **26** - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. გაიცა:
   - **1** შრომის წიგნაკი (ყოფილ თანამშრომელზე);

4. დაშვებულ იქნა **378** სტუმრის საშვი.

<u>ივნისი</u>

კანცელარიაში 2014 წლის ივნისის თვეში

1. რეგისტრირებულია **438** წერილი, აქედან:

- **199** მოხსენებითი ბარათი;
- **96** გასული წერილი, აქედან:
  გენ. დირექტორის სახელით - **57**;
  ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **5;**
  ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 11;**
  ტელემაუწყებლობის დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **10**;
  საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**8** ;
  შესყიდვების სამსახურის უფროსის სახელით - **1;**
  სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელით - **4;**

- **143** შემოსული წერილი, აქედან:
  სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **121**;
  მოქალაქის - **22**;

2. მომზადდა **96** ბრძანება, აქედან:
   - **72** - მივლინების ბრძანება (შეძენილია **10** ავიაბილეთი, დაიჯავშნა სასტუმროს **105** ნომერი);
   - **24** - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. გაიცა:
   - **2** საარქივო ცნობა (ყოფილ თანამშრომლებზე);

4. დაშვებულ იქნა **354** სტუმრის საშვი.

2014 წლის მეორე კვარტალში კანცელარიაში რეგისტრირებულია **1302** წერილი, მომზადდა **260** მივლინების და **72** საერთო ხასიათის ბრძანება, შეძენილია **47** ავიაბილეთი, **11** მატარებლის ბილეთი, დაიჯავშნა სასტუმროს **312** ნომერი, გაიცა: **1** შრომის წიგნაკი, **4** საარქივო ცნობა, **2** პირადი საქმე, მაუწყებლის შენობაში დაშვებულია **1008** სტუმარი.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

შინაარსი

1.ზოგადი ინფორმაცია 4

2.საანგარიშო პერიოდში შესრულებული გეგმიური სამუშაოები 4

3.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა სამუშაოები 4

ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ

- 2014 წლის მეორე კვარტალში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ საშუალოდ დასაქმებული იყო 999 ადამიანი.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმდა 22 პიროვნება,
- სამსახურიდან გათავისუფლდა 23 თანამშრომელი.
- საანგარიშგებო პერიოდში სტაჟირება გაიარა 38 ადამიანმა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ თვეების მიხედვით:

	თანამშრომელთა რაოდენობა	კონტაქტორი	განთავისუფლება *(კონტაქტორი)*	მიღება *(კონტაქტორი)*	სტაჟირება
აპრილი	*1000*	*1000*	*9*	*11*	*8*
მაისი	*1000*	*1000*	*6*	*6*	*23*
ივნისი	998	*998*	*8*	*5*	*7*

1. საანგარიშო პერიოდში შესრულებული გეგმიური სამუშაოები

დასრულდა ინფორმაციის შეგროვება მაუწყებელში არსებული პოზიციების შესახებ სამუშაო აღწერილობების დახვეწა/დამტკიცების მიზნით. მიმდინარეობს მუშაობა საშტატო განრიგის სრულყოფისა და მისი დამტკიცების კუთხით,ასევე მიმდინარეობს სხვა სამუშაო პროცესები მაუწყებლის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

2. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა სამუშაოები

საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად დაზუსტდა იმ თანამშრომელთა სია, რომლებსაც შეუსრულდათ საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობის 5 ან მეტი წლის სამუშაო სტაჟი და გამოიცა ბრძანება მათთვის შრომითი ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ. იმ თანამშრომლებთან, რომლებსაც არ აქვთ საჭირო რაოდენობის სტაჟი, უმეტესობასთან გაფორმდა ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები.

ფინანსური სამსახური

შესავალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2014 წელს მაუწყებლის საქმიანობისთვის 6 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 16 120.2 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან, „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ კანონების საფუძველზე გახსნილი აქვს ანგარიში ს.ს. „კორ სტანდარტ ბანკიში“ რომლებზეც ხორციელდება მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და მიზნობრივი ხარჯვა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2014 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16 120.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 475.7 ათასი ლარი. სულ 16 595.9 ათასი ლარი.

<u>ხელფასები</u>

2014 წლის I ნახევრის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მიზნით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა საბიუჯეტო სახსრებიდან 7 866.8 ათასი ლარი ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 53.5 ათასი ლარი. სულ 7920.3 ათასი ლარი, რაც გაწეული საერთო ხარჯის 47.7 % შეადგენს.

<u>მივლინებები</u>

2014 წლის 6 თვეში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 429.1 ათასი ლარი, რაც გაწეული საერთო ხარჯის 2.6 % შეადგენს.

მათ შორის:

საბიუჯეტო სახსრებიდან 356.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 72.7 ათასი ლარი.

<u>სამეურვეო საბჭოს ხარჯები</u>

2014 წლის 6 თვეში სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 143.3 ათასი ლარი. რაც საერთო ხარჯის 0.9% შეადგენს.

<u>ადმინისტრაციული ხარჯები</u>

2014 წლის 6 თვეში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა - 936.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც საერთო ხარჯის 5.64% შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 854.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 81.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- კომუნალური ხარჯები - 223.5 ათასი ლარი;
- შენობის დასუფთავება - 34.9 ათასი ლარი;

- წარმომადგენლობითი ხარჯები - 8.4 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯები - 255.3 ათასი ლარი;
- კავშირგაბმულობს ხარჯები - 88.3 ათასი ლარი;
- შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯები - 167.3 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონლის შეძენა - 14.3 ათასი ლარი;
- მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 6.8 ათასი ლარი;
- საამშენებლო სარემონტო სამუშაოები - 20.0 ათასი ლარი;
- თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯი - 40.3 ათასი ლარი.

მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის ხარჯებზე დახარჯული იქნა - 61.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 11.8 ათასი ლარი. სულ გაწეულმა ხარჯმა - 73.0 ათასი ლარი.

მათ შორის:

- PR და ბრენდირება - 20.9 ათასი ლარი;
- სოციოლოგიური კვლევები - 47.9 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი ხარჯები - 4.2 ათასი ლარი.

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ მოცემულ საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ტიპის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან გახარჯული იქნა - 1 889.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 161.7 ათასი ლარი. სულ მიიმართა 2 050.9 ათასი ლარი. რაც მთლიანი საკასო ხარჯის 12.36 % შეადგენს.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება – 415.0 ათასი ლარი;
- ლიცენზიები - 1 042.8 ათასი ლარი;
- ქართული და უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 215.5 ათასი ლარი;
- რადიო თავისუფლება ევროპა - 65.3 ათასი ლარი;
- ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლობის ხარჯი) – 7.1 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემის დეკორაციის შეძენა - 36.5 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ხარჯი - 224.1 ათასი ლარი;
- წყალბურთის ევროპის ჩემპიონატის ჩვენების ხარჯი - 19.5 ათასი ლარი.

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2014 წლის საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 187.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 24.1 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 211.4 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ საერთო გაწეული საკასო ხარჯის 1.27% შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 152.9 ათასი ლარი;

- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 53.7 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი ხარჯი - 4.9ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2014 წლის საანგარიშო პერიოდში ტექნიკის ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 1 308.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 41.4 ათასი ლარი. სულ დახარჯული იქნა 1 350.0 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ გაწეული ხარჯების 8.13% შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ვებ მაუწყებლიბა და სტრიმინგი - 65.0 ათასი ლარი;
- კასეტებისა და ელემენტების შეძენა - 136.4 ათასი ლარი;
- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 630.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება - 269.9 ათასი ლარი;
- სერვერ რუმის მოწყობა - 14.9 ათასი ლარი;
- ელექტრო მასალები - 83.4 ათასი ლარი;
- ვიდეო მიქშერები და პლაზმა - 4.3 ათასი ლარი;
- კონდენციონერების შეკეტება და შეძენა - 37.1 ათასი ლარი;
- ნიუსრუმის მოწყობა - 10.3 ათასი ლარი;
- ლიცენზირებული ანტივირუსული პროგრამის ლიცენზია - 16.7 ათასი ლარი;
- საკომუნიკაცი არხების ქირავნობა - 18.5 ატასი ლარი;
- მოძრავი სატელიტური სადგურის დაქირავება - 15.0 ათასი ლარი;
- GPRS – 6.5 ათასი ლარი.

სხვა გადასახდელები

წლის განმავლობაში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ შემუშავებული ფინასური პოლიტიკის მიხედვით პრიორიტეტულად განისაზღვრა გასული პერიოდის განმავლობაში აკუმულირებული კრედიტორული დავალინებების დაფარვა. შესაბამისად, ფინანსური რესურსის მნიშვნელოვანი წილი მიმართულ იქნა დაგროვილი დავალინებების დასაფარად.

2014 წლის I ნახევრის განმავლობაში მაუწყებლის მიერ კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გაწეულმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 3 480.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა შემდეგი ტიპის დავალიანებების დაფარვას:

ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალინება	**1,095.4**
სახელმწიფო სესხი	**905.6**
სხვა მიმდინარე დავალიანება	**506.1**
უკუდაბეგვრის დღგ	**462.4**
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	**160.4**
დაგროვილი დღგ-ს გადასახადი	**137.6**
სხვა საგადასახადო დავალიანება	**17.2**
გადასახდელი სესხის პროცენტი	**1.9**